შპს „ვოლტ ჯორჯიას“ რეგიონალურ გენერალურ მენეჯერს
ნატალია ხიზანიშვილს
ელ. ფოსტა: natalia.khizanishvili@wolt.com

რეკომენდაცია

შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ქალბატონო ნატალია,

2023 წლის 16 თებერვალს სახალხო დამცველს განცხადებით (N1728/23) მომართეს ი. კ.-მ და დ. ს.-მ, რომელთა ინტერესებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში თამარ სურმავა და ქეთევან ჩხაიძე წარმოადგენენ. გარდა ამისა, 2023 წლის 13 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N1546/23) მომართა გ. მ.-მა,[1] რომელსაც თან ერთვის „ვოლტის“ 142 კურიერის განცხადება. განმცხადებლები თავს განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლებად მიიჩნევენ.

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია შპს „ვოლტ ჯორჯიასგან“ (შემდგომში: „ვოლტი“; კომპანია; მოპასუხე) გამოითხოვა.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლების - ი. კ.-ს და დ. ს.-ს პოზიცია

განცხადების თანახმად, დ. ს. და ი. კ. „ვოლტის“ კურიერები იყვნენ[2] და კომპანიის სატარიფო პოლიტიკას აპროტესტებდნენ. 2022 წლის 4 ოქტომბერს, კომპანიის წარმომადგენლებმა განმცხადებლები „ვოლტის“ ოფისში დაიბარეს და ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე აცნობეს. განმცხადებლების განმარტებით, კომპანია კურიერის მიერ გავლილ მანძილს საჰაერო მანძილით ანგარიშობდა. 2022 წლის სექტემბრიდან კომპანიამ მანძილის გამოთვლა სახმელეთო კილომეტრაჟის დაანგარიშებით დაიწყო და შეამცირა, როგორც საბაზისო, ასევე თითოეულ განვლილ კილომეტრზე ტარიფი, რამაც კურიერების ფინანსური მდგომარეობა გააუარესა. აღნიშნულის საპასუხოდ, კურიერებმა 2022 წლის

[1] **შენიშვნა:** განცხადებას ხელს აწერს 11 პირი - მ. გ, ს. რ, ნ. კ, გ. გ, შ. ს, ი. მ, ს. ც, მ. გ, გ. ღ, ა. ჭ. განმცხადებელმა გაურკვეველი ნაწერის გამო ერთი პირის ვინაობა ვერ დააზუსტა

[2] **შენიშვნა:** ი. კ. კომპანიაში დასაქმებული იყო 2021 წლის თებერვლის თვიდან, ხოლო დ. ს. 2022 წლის თებერვლიდან

სექტემბრის შუა რიცხვებიდან როგორც აქციებზე, ასევე სოციალურ ქსელში აქტიურობა დაიწყეს.

1.1.1. ი. კ.

2022 წლის 3 ოქტომბერს კურიერების უფლებების დასაცავად აქცია გაიმართა. ი. კ.-მ, 2022 წლის 4 ოქტომბერს (ღამის 12:00 საათის შემდგომ) კურიერების ჯგუფში დაწერა პოსტი, რომლითაც, მისი მითითებით, კურიერებს სოლიდარობისკენ მოუწოდებდა. ი. კ.-მ სახალხო დამცველის აპარატს მოაწოდა სტატუსების/პოსტების ამსახველი ე.წ. სქრინები, რომელიც, მისი განმარტებით, კომპანიის მხრიდან მისი განსხვავებული მოსაზრების მიუღებლობას ადასტურებს.[3]

განმცხადებელმა სახალხო დამცველს ასევე წარმოუდგინა კომპანიის წარმომადგენლებთან 2022 წლის 4 ოქტომბრის შეხვედრის აუდიოჩანაწერი:[4]

<u>გ. ჯ.:</u> *„ყოველთვის ესეთი გადაწყვეტილებები პირისპირ საუბრისას მიიღება, სამწუხაროდ, გვიწევს შენთან ხელშეკრულების შეწყვეტა. მიზეზი არის ის, რომ შენი დამოკიდებულება ზოგადად კომპანიის მიმართ, არაერთხელ გვისაუბრია მე და შენ, ასევე, ჩემს თანამშრომლებს, ცოტა ულტიმატუმებით გვესაუბრები, აყენებ საფორთის თანამშრომლებს შეურაცხყოფას“*

<u>ი. კ.:</u> *„შეურაცხყოფა როდის მივაყენე?“*

<u>გ. ჯ:</u> .... *„ჩატს რომ გადახედო იქ შეგიძლია ნახო“*

<u>ი. კ.:</u> *„შეურაცხმყოფელი რა ვუთხარი?“*

<u>გ. ჯ.:</u> *„აი გავხსნათ და ვნახოთ, წავიკითხავ, შენ მიწერე არ ხარ კომპეტენტური და მსგავსი ტექსტები“*

<u>ი. კ.:</u> *„ანუ არაკომპეტენტურობა შეურაცხყოფაა, გიო?“*

<u>გ. ჯ.:</u> *„რა თქმა უნდა“*

<u>ი. კ.:</u> *„არა ჩემი აზრით ეგ შეურაცხყოფა არაა, ეგაა ის, რომ კომპეტენტური რომ იყოს მაშინ მეტყოდა ესეთ რაღაცას, რომ ი. გასაგებია შენი პოზიცია, თუ ახლოს იქნება დაგირიცხავ ხელით, ანუ შესაბამისად, იცის პრაქტიკებიდან გამომდინარე, ქეისებიდან გამომდინარე, რომ ხელით ირიცხება და საფორთი მეუბნება, რომ არ ვიცი. როდესაც არ ვიცის ამბობს ეგ უკვე არაკომპეტენტურია“*

<u>გ. ჯ.:</u> *„ჩვენ ზონებზე მოწერილი გვაქვს ინფორმაცია სად ირიცხება და სად არა, თუ დაგერიცხება ნიშნავს, რომ ამ ზონაში შედის, თუ არ დაგერიცხება ეგ იმას ნიშნავს, რომ“*

<u>ი. კ:</u> *„ამაშუკელის ეგ კორპუსი არის ქვემოთ“*

---

[3] **ი. კ. 2022 წლის 17 მარტის პოსტი „Wolt Curiers“ ჯგუფში:** *გველადავებიან ხო?! ეგ ბარათი არავინ არ უნდა აიღოს და მიხვდებიან რომ დაგვცინიან. 4 ლარია გამხდარი და 25 თეთრიანი ფასდაკლება... და +სოკარის ბენზინიც... კლაპნებს რომ აფუჭებს და ხმას იკიდებს“. „სანამ კამანდა გაყოფილი ვიქნებით და სანამ ცალ-ცალკე ჯგუფების კეთებას არ შევეშვებით და ერთად არ ვიმოქმედებთ ისე აზრი არ აქვს. დარწმუნებული ვარ რომ შეიკრიბეთ მანდ სადმე დაიწერა. სხვა ჯგუფში სხვაგან შეიკრიბებიან და ასე“. ტარიფებთან მიმართებით, ი. კ. ასევე კურიერს კომენტარში პასუხობს „ეს საკითხიც წამოვაყენეთ“.*
2022 წლის 4 ოქტომბრის ი. კ. პოსტი „Wolt Partner Georgia“- ს ჯგუფში წერს: *„ისე ამ სქრინებს რომ დებთ და ამაყობთ? იქნებ იმაზე დაფიქრდეთ რატომ ჩართეს ეს სპეც ტარიფი? თუ არ დაფიქრდებით მე გეტყვით (ეს იმ ბიჭების და გოგოების დამსახურებაა ვინებიც იბრძვიან ჩვენი უკეთესი გამომუშავებისთვის და გაფიცულები იყვნენ, ამიტომ ჩართო ვოლტმა ეს ტარიფი რომ სხვები შემოსულიყვნენ ხაზზე და თქვენ კიდევ ამაყობთ რომ იმ ბიჭების ხარჯზე გააკეთეთ ეს თანხა და ამაყობთ) ან არ დაფიქრებულხართ იმაზე ერთხელ მაინც ეს ბონუსები რომ არის ჩართული რისი დამსახურებაა?! მე გეტყვით. იმ ბიჭების დამსახურებაა ისევე. გაგახსენებთ რომ იმ ბიჭების დამსახურებაა რომ ახლა 3.5 არის და კმ 0.5 და არა 2.5 საბაზისო და 0.3 აღება და დატოვება 0.5. მე ნამდვილად ვერ ვიამაყებ იმით რომ 250 ლარი დავწერე იმ ადამიანების ხარჯზე ვინც იბრძვის იმისთვის რომ ამასთან მიახლოებული ტარიფები იყოს. იქნებ ჯობია რომ ყველა დავუდგეთ ერთმანეთს გვერდში და იმ ბიჭებმა თავი დაჩაგრულებად ან უსამართლოდ არ იგრძნონ. ისევ და ისევ ყველა ჩვენთაგანისთვის იბრძვიან. დავფიქრდეთ ცოტა მაინც მეგობრებო სანამ რამით ვიამაყებთ და საამაყო არის თუ არა ეს“*

[4] **შენიშვნა:** *მოცემულია საუბრის <u>ძირითადი ნაწილის ტრანსკრიპტი</u>; გ. ჯ. და ს. ხ. კომპანიის წარმომადგენლები არიან*

გ. ჯ.: *„არ აქვს მაგას მნიშვნელობა, გეუბნები წინასწარ არის მოხაზული. შენი მხრიდან არის ულტიმატუმის წამოყენების ფორმა, თუ დამირიცხავ წავიღებ, თუ არ დამირიცხავ“*

ი. კ.: *„არა, ეს არ არის ულტიმატუმი გიო, მაშინ ულტიმატუმია ისიც, რომ ვთქვათ, რომ თქვენ რაც მოიწერეთ ანუ, თუ ვოლტს შეუშლის კურიერი ხელს ანუ გაგდებული იქნება თანამშრომელი. ესეც ხომ ულტიმატუმია?“*

გ. ჯ.: *„ულტიმატუმი არაა, ესაა მოსალოდნელ რისკზე რეაგირებაა“*

ი. კ.: *„ულტიმატუმია იგივე მაშინ ასე რომ ითქვას იმიტომ, რომ გაგდებით მემუქრები“*

გ. ჯ.: *„ჩვენ კანონს გახსენებთ შენ რასაც იწერები ეგ შენიდან გამომდინარეა და შენ რასაც იწერები შენიდან გამომდინარე და მე რასაც ვიწერები ეს კანონია“*

ი. კ.: *„კანონის შეხსენებაა ოღონდ ულტიმატუმის სახით მეუბნები ამას. ხო იმიტომ რომ თუ ასე გააკეთებ შეგიწყდება ხელშეკრულება“*

გ. ჯ.: *„რა თქმა უნდა“*

ი. კ.: *„ეგ ულტიმატუმია“*

გ. ჯ.: *„შენ შეგიძლია ჩათვალო ეგრე, არაათქო ეგრე. ეს არის ხელშეკრულების პუნქტები, რაზეც ადამიანს ხელი აქვს მოწერილი და ამას უბრალოდ ვახსენებ“*

ი. კ.: *„გიო, მაშინ მე რაც ვუთხარი საფორთს, ეგეც შეგვიძლია მივიღოთ როგორც ულტიმატუმად ან როგორც გვინდა არ მივიღოთ ულტიმატუმად. მე ვთვლი, რომ ეგ ულტიმატუმი არ იყო. იმიტომ, რომ საფორთს რომ მოეწერა, რომ კიბატონო, ანუ თუ ახლოს იქნება ზონასთან, რამოდენიმე მეტრით დაშორება მაშინ კიბატონო დაგირიცხავ ხელით, საფორთი მეუბნება არ ვიცი. არ ვიცის, როდესაც მეუბნება საფორთი, რომელსაც მე ვეკითხები რაღაცას და არ ვიცის მეუბნება, ის უკვე არაკომპეტენტურია ჩემთვის. თქვენ რომ მაღაზიაში მიხვიდეთ და უთხრათ, რომ ეს პური რას შეიცავს და ამ დროს კონსულტანტმა გითხრათ, რომ არ ვიცი სიტყვაზე ვამბობ მაგალითად მომყავს“*

გ. ჯ.: *„ცუდი შედარებაა“*

ი. კ.: *„არ ვიცის როცა მეუბნება, ეს არის არაკომპეტენტურობა“*

გ. ჯ.: *„შენ წინასწარ გაქვს ინფორმაცია რა შედის ზონის დანამატში, თუ დაიხურება შეკვეთა და დაგერიცხება ის დანამატი ავტომატურად შესულია. თუ არ გერიცხება ეს ესე იგი არ შედის, ეგ არის და ეგ, მაგრამ ამას რო თავი გავანებოთ შენ იცი, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, პირველი შემთხვევა, რომ იყოს ვისაუბრებდით ტელეფონზე და არაფერი არ მოხდებოდა“*

ი. კ.: *„რამდენი შემთხვევა იყო?“*

გ. ჯ.: *„მანამდეც მე და შენ გვისაუბრია ტელეფონზე, რომ არავინ არ გეუბნება, რომ იყავი ჩვენი მეგობარიო. თუმცა ჩვენი მოწოდებაა, რომ ყველა კურიერთან გვქონდეს ახლო ურთიერთობა“*

ი. კ: *„მაშინ საფორთსაც უნდა ჰქონდეს ეგეთი მოწოდება“*

გ. ჯ: *„საფორთი რომ გეუბნება, რომ არ ვიციო, შენ ღიზიანდები და ხდები აგრესიული“*

ი. კ: *არ ვხდები აგრესიული, ისედაც დაბალი ტარიფებია გიო. მანქანით როცა ვმუშაობ ახლა 2.50*

გ. ჯ: *„შენთვის დაბალი ტარიფია, ვიღაცისთვის მაღალი ტარიფია“*

ი. კ: *„ვიღაცისთვის შეიძლება ისიც მაღალ ტარიფია სპარში, რომ 300 ლარზე მუშაობდა“*

გ. ჯ: *„აბა შენი აზრით, რატომ მუშაობს ამდენი კურიერი, თუ ყველასთვის დაბალი ტარიფია?“*

ი. კ: *„იმიტომ, რომ ახლებია ბევრი რამდენი ძველი არ მუშაობს. მაშინ რატო აპროტესტებენ ბიჭები ამ ტარიფს?“*

გ. ჯ: *„რამდენი ბიჭი აპროტესტებს?“*

ი. კ: *„არ ვიცი ძველი ვისაც ვიცნობ ყველა. ..... მე უბონოსო ვიყავი“*

გ. ჯ: ***„მაგ ყველაფერს რო თავი გავანებოთ, ასევე შენი პოსტიც ჩამიგდეს (4:38 წმ) რომ იქ რაღაცა სიამაყეზე და რაღაცაზე“***

ი. კ: *„კი ეგაა ჩემი პირადი აზრი და შემიძლია ვთქვა“*

გ. ჯ: ***„შენ დამოკიდებულებაზე მაქვს საუბარი. ეს გადაწყვეტილება მივიღეთ იქიდან გამომდინარე, რომ არ გაქვს ჩვენთან პარტნიორული დამოკიდებულება“***

ი. კ.: *„პარტნიორულ დამოკიდებულებას რას ეძახი?“*

გ. ჯ: *„აი ის რასაც შენ იწერები ამ მხარდამჭერის ჯგუფში არაერთხელ“*

ი. კ.: *„ჩვეულებრივად ვიწერები, როგორც“...*

გ. ჯ.: ***„შენთვის არის ჩვეულებრივი, ჩემთვის არ არის ჩვეულებრივი, კომპანიისთვის არ არის ეს მისაღები“***

ი. კ.: *„თუ მე ექსტრა მეკუთვნის და არ მირიცხავს, ან თუ მე ამაშუკელზე ავედი და მომხმარებელს პინი არასწორად აქვს დასმული ანუ ეს ჩემი პრობლემაა?“*

გ. ჯ: *„თუ მოხდა პრობლემა, ამის გარკვევა შეიძლება და შენ სანამ არაფერი არ მომხდარა და უკვე პრობლემას ქმნი ეს სხვა რაღაცაა“*

ი. კ: *„ყოფილა გიო ორჯერ ეგეთი მომენტი, ერეკლემ დამირეკა თქვენ ხართ ერეკლე?“*

ს. ხ: *„არა ს. მეც დამირეკავს ჩვენც გვისაუბრია ერთმანეთთან“*

ი. კ: *„ერეკლემ დამირეკა და ვუთხარი იყო ასეთი შემთხვევა ორჯერ, რომ არ დაურიცხია. უბრალოდ საჭესთან როდესაც ვმართავ მანქანას ცოტა დისკომფორტია თან ვწერო საფორთან და თან მანქანა ვმართო“*

გ. ჯ: *„ხოდა მაგას გეუბნები, თუ შედიოდა ეგ ზონა აუცილებლად დაგერიცხებოდა. თუ არ დაგერიცხებოდა ესე იგი არ შედიოდა“*

ი. კ: *„გაგახსენებ მაშინ ერთ ქეისს მე და შენ გვქონდა. მოხმარებელს ჰქონდა არასწორად დადებული ბესარიონ ჟღენტზე ქუჩა“*

გ. ჯ: *„ეგ იმ ზონაში შედიოდა. მომხმარებლის შეცდომა იყო ზუსტად ვიცი“*

ი. კ.: *„მომხმარებლის შეცდომა იყო საფორთმა დამირეკა სანამ თქვენთან არ დავრეკე?“*

გ. ჯ.: *„მაგას გეუბნები ი. პრობლემები გვარდება ჩანიშვნით, გასაუბრებით, გადამოწმებით და შემდეგ ჩვენთან დაკავშირებით“*

ი. კ. *„ამიტომ ვამბობ ნახე“*

გ. ჯ: *„შენ უკვე წინასწარ გვიყენებ ულტიმატუმს, რომ ესა და ესე“*

ი. კ.: *„მაგის მერე ყოფილა კიდევ რამოდენიმე შემთხვევა, მაგას გეუბნები და ასე ყოველ 5 წუთში ხომ არ დაგირეკავ ყოველ ლარზე და ლარ ნახევარზე ხო როდესაც“*

გ. ჯ.: *„5 წუთში არაა საჭირო, შეგიძლია ჩაინიშნო და ნებისმიერ დროს სამუშაო დღეს შეგიძლია ან ამოხვიდე ან დარეკო და ერთიანად გავიაროთ“*

ი. კ.: *„ხო მაგრამ ვაკეში ამოსვლა მანქანით ცოტა“*

გ. ჯ: *„ანუ მაგას აზრი არ აქვს, როგორც გითხარი მიღებული გვაქვს გადაწყვეტილება და არაპარტნიორული დამოკიდებულების გამო შენთან გვიწევს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა“*

ი. კ: *„ანუ არაპარტნიორული დამოკიდებულებაა მე თუ ექსტრას ვითხოვ სამართლიანად და ასე შემდეგ?“*

გ. ჯ: *„სამართლიანობაზე არაა აქ ხო, ფორმას ვგულისხმობ რა ტონითაც გვესაუბრები“*

ი. კ: *„მონაწერში რა ტონი შენიშნეთ?“*

გ. ჯ: *„გითხარი უკვე რაც შევნიშნე“*

ი. კ: *„მაშინ მე გეტყვით რო არასწორი ტონია“*

გ. ჯ: *„ეგ შენთვისთქო, მაგას გეუბნები“*

ი. კ: *„მაშინ თქვენთვისაც არასწორია მაგ შემთხვევაში მაგასაც ვიტყვი“*

გ. ჯ: *„ანუ შენი იძახი, რომ შენი ტონი არასწორია მაგას ამბობ?“*

ი. კ.: *„არა თქვენ გებულობთ არასწორადთქო მაგას გეუბნები. იმიტო რო“*

გ. ჯ.: *„ესეთი სტანდარტები, ესეთი პოლიტიკა გვაქვს, როგორც გითხარი ამ კომპანიაში ძალიან დიდ როლს და ყურადღებას ვანიჭებთ ერთმანეთთან ურთიერთობას და ანუ განვსხვავდებით ყველა სხვა კომპანიისგან, ანუ გვაქვს ძალიან მეგობრული და პარტნიორული დამოკიდებულება ერთმანეთთან, შეიძლება რაღაც შემთხვევებში მოხდეს გადაცდომა, გავისაუბროთ, გაიგოს კურიერმა“...*

გ. ჯ: *„შენს შემთხვევაში სამწუხაროდ არ ხდება ასე“*

ი. კ: *„ამ წლის მანძილზე ფიზიკურად“*

გ. ჯ: *„ამდენი რესურსი ი. სამწუხაროდ არ გვაქვს, რომ ერთ კურიერს ამდენი დრო დავუთმოთ, როცა კი ბატონო არ ხდება არანაირი პრობლემა ნებისმიერ დროს შეგვიძლია გასაუბრება, მაგრამ როცა მეორდება პრობლემა“*

ი. კ: *„პრობლემა იმასთან დაკავშირებით მეორდება რაც იყო და არ დარიცხულა, ამიტომ გეუბნები, ანუ ესე იგი კურიერმა თუ არ დაერიცხა თანხა ჩვეულებრივ თავი დახაროს და წავიდეს“*

გ. ჯ: *„არა“*

ი. კ: *„ეგეთი რაღაც გამოდის. ვერ ვიგებ, ეგრე გამოდის მე ადამიანს ვუთხარი. საფორთმა მაშინ არ უნდა მომწეროს არ ვიცი იმიტომ, რომ მე უკვე მის კომპეტენციაში ეჭვი მეპარება, არ ვიცის როდესაც მწერს“*

ს. ხ.: *„დამასრულებინე ორ ხმაში ხომ ვერ ვისაუბრეთ. ანუ გისმენდით დიდი ხანი და ნახე რაც გ.-მ გითხრა ამ კომპანიას აქვს თავისი წესდება, შენთან პირადული არავის არაფერი არ აკავშირებს, არის წესი, რომელსაც კურიერთან როცა გვაქვს უკუკავშირი და შენთან მეც მქონია, სერგისაც ჰქონია, ერეკლესაც ჰქონია და განმეორდა კიდევ ბევრი რაღაცა არ ხდება ამ ყველაფრის გათვალისწინება, ...ანუ შესაძლებელია შენ რაღაცა*

გეკუთვნოდეს, მაგრამ ამ ყველაფერს აქვს თქმის ფორმა. შენ არავინ არ გეუბნება თავი დახარე და არ მოითხოვო, პირიქით, ჩაინიშნე საკითხი გადაეცი ოპერაციების ჯგუფს და როდის ყოფილა ჩვენ პირობითად ვამბობ რაღაც პრობლემური ქეისი ყოფილა და შენთან არ დაგვირეკავს. ყოფილა ასეთი რაღაც? რო გადმოგიცია და არ დაგვირეკავს?"

<u>ი. კ:</u> *„კი, რამოდენიმე საფორთს ვუთხარი რომ გადაეცითქო, გადავეცი ოპერაციების ჯგუფს და არ ყოფილა დაკავშირება"*

<u>ს. ხ:</u> *„ანუ, ნამდვილად ვერ გავიხსენებ ეგეთ რაღაცას, აბსოლუტურად ყველასთან ვრეკავ, ანუ ახლა რასაც გისმენ ყველაფერზე გაქვს ნეგატიური რეაქცია"*

<u>ი. კ:</u> *„არა ნეგატიური არ მაქვს ს. უბრალოდ"*

<u>ს. ხ:</u> *... „ესაა კომპანიის გადმოსახედი. მსგავსი დამოკიდებულებით კურიერი როდესაც არის, რომ არ მოწონს, შენი საუბრიდან გამომდინარე არ მოგწონს იმიტომ,* ***რომ აპროტესტებ, მოწოდება ახლაც საუბროდი"***

<u>ი. კ:</u> *„რა მოწოდება?"*

<u>ს. ხ</u>: *„ასე ვთქვათ ეს ჩემი აზრიაო, რაღაცაზე ესაუბრებოდი"*

<u>ი. კ:</u> *„არა მოწოდება არაფერი არ ყოფილა"*

<u>ს. ხ</u>: ***„ეს ჩემი აზრიაო დაბალი ტარიფი, ამას ვამბობ ი. არავინ არ გექაჩება, ბოდიშს გიხდი ჟარგონისთვის,*** *უბრალოდ როგორი რაღაცაა იცი ჩვენ გვაქვს ჩვენი წესდება ამ წესდებას, როცა უგულებელყოფს კურიერი, საბოლოო ჯამში მივდივართ ამ შედეგამდე, როდესაც უკუკავშირი არ არის მიღებული. იმიტომ, რომ ჩვენ ყოველთვის ვრეკავთ თხოვნით, რეკომენდაციით და მსგავსი არამეგობრული ტონი არასდროს არ გვაქვს ერთმანეთთან"*

<u>ი. კ.:</u> *„არც მე არ მაქვს არამეგობრული ტონი"*

<u>ს. ხ:</u> *„აი შენგან ზუსტად დაფიქსირდა რომ საფორთთან მიმოწერა არის არაპარტნიორული. ხო ანუ ამ შემთხვევაში ვიგებთ ჩვენ. გვაქვს ჩატი რის მიხედვითაც, შენ ერთი დღის კურიერი არ ხარ და ეს აგიხსნა გ.მ"*

<u>ი. კ:</u> *„კარგი ანუ გასაგებია, რომ კურიერი ვთქვათ თუ სამართლიანად ითხოვს რაღაცას"*

<u>ს. ხ:</u> *„იგივეს ამბობ"*

<u>ი. კ</u>: ***„ანუ მე თუ არ მომწონს ტარიფები, ჩემი აზრი გამოვთქვი, ესე იგი ესაა პრობლემა"***

<u>გ. ჯ.:</u> *„არაფერ შუაშია"*

<u>ი. კ.:</u> *„ანუ ეგაა რა, არა მგონია ეს ყველაფერი ბევრ კურიერს მოეწონოს და კარგად დამთავრდეს. წარმატებები"*

1.1.2. დ. ს.

დ. ს.-მ სახალხო დამცველის აპარატს მოაწოდა ფეისბუქ ჯგუფში Wolt Partners Georgia მისი პოსტების ე.წ. სქრინები, რომელიც, განმცხადებლის მითითებით, მის განსხვავებულ მოსაზრებას ადასტურებს:

დ. ს.-ს 2022 წლის 7 სექტემბრის პოსტი: *„მეგობრებო და ვოლტერებო ყველა კურიერმა რამენაირად მივაწვდინოთ ერთმანეთს ხმა იმასთან დაკავშირებით რომ შევიკრიბოთ 11 რიცხვში სპორტის სასახლესთან და გადავჭრათ ეს პრობლემა რაც ყველა ვოლტერს გვეხება დანარჩენს კი ადგილზე გავარკვევთ და ჩამოვაყალიბებთ აზრს ჯერჯერობით ესაა რისი თქმაც მინდა".* **2022 წლის 7 სექტემბრის პოსტი Wolt Partnet Georgia:** *„შეკრება გაიმართება 10 სექტემბერს 12:00 საათზე".* **2022 წლის 7 სექტემბრის პოსტი:** *„სალამი მოკლედ გადაწყდა ამ თვის 11ში კვირა დღეს 12 საათზე ვიკრიბებით უნივერსიტეტის ქუჩაზე მაღლივთან".* **2022 წლის 8 სექტემბრის პოსტი Wolt Partnet Georgia**: *„სალამი ყველას ვინაიდან და რადგანაც კვირას მაგარი წვიმაა გამოცხადებული შეკრებამ გადმოიწია შაბათ დღეს იგივე დროს გელოდებით უკლებლივ ყველას".* **2022 წლის 9 სექტემბრის პოსტი Wolt Partnet Georgia**: *„სალამი ყველას აბა ვნახოთ რამდენმა იცის გვერდში დგომა და ერთმანეთის გატანა ყველაფერი ხვალ გამოჩნდება".* **2022 წლის 10 სექტემბრის პოსტი Wolt Partnet Georgia**: *„ზეგ 12 რიცხვში 10 საათზე ვიკრიბებით ვოლტის ოფისთან გელოდებით უკლებლივ ყველას".* ***2022 წლის 10 სექტემბრის პოსტი Wolt Partnet Georgia:*** *„ეს პოსტი არ ეხება იმათ ვინც სხვა სამსახურებში მუშაობთ ეს ეხება იმათ ვინც მხოლოდ ვოლტზე მუშაობს საქმე არის შემდეგში დღეს გვქონდა შეკრება და 30 კაცზე მეტი ვერ შევიკრიბეთ ლაივიც გვქონდა ჩართული იმის გამო რომ უფრო მეტი ვოლტერი მოსულიყო და ერთად შეგვეჯერებინა აზრი რომ როგორმე შეგვეცვალა ჩვენი კეთილდღეობა როგორც ჩანს ეს უმეტესობას საერთოდ არ აინტერესებს".* **2022 წლის 16 სექტემბრის პოსტი Wolt Partnet Georgia**: *„სალამი! ყველა კურიერს გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ განცხადებას და მაქსიმალურად დაგვიდგეთ გვერდში! მოგეხსენებათ, რომ ახლახანს კომპანია ვოლტმა შეცვალა ანაზღაურების სისტემა. ახალი სისტემის მიხედვით კურიერები აღმოვჩნდით ძალიან არასახარბიელო მდგომარეობაში, განსაკუთრებით ეს შეეხო მანქანიან კურიერებს. იმდროს როცა ყველაფრის ფასი*

გასსამაგდა და ხარჯებიც გაგვეზარდა, გვიწევს ბრძოლა არა ანაზღაურების გასაზრდელად, არამედ არსებულის შესანარჩუნებლად! ყველამ ვიცით, რამდენად რთულია კურიერად მუშაობა - ძალიან სარისკო და შრომატევადი. ამას ემატება მრავალი პრობლემა - კომპანიის საფორთთან გაუმართავი კომუნიკაცია, მომხმარებლების დამოკიდებულება, კომპანიის მხრიდან ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება და სხვა. არაერთი მცდელობის მიუხედავად, „ვოლტმა" არცერთი ჩვენი წინადადება არ გაითვალისწინა და ანაზღაურების ახალი პირობებით აღმოვჩნდით ძალიან ცუდ მდგომარეობაში - გვიწევს მეტის შრომა ნაკლები ანაზღაურებით. გვინდა ჩვენი პროტესტი გამოვხატოთ შემდეგი სახით: დღეს, უკვე ამ წამიდან, კურიერები ვართ ხაზზე და არ ვიღებთ არცერთ შეკვეთას ეს ქმედება მიიღებს სისტემატურ სახეს იქამდე, სანამ არ დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნები გთხოვთ, დავუდგეთ ერთმანეთს გვერდში"! **2022 წლის 17 სექტემბრის პოსტი Wolt Partnet Georgia-ში:** *„საღამო მშვიდობის! გაცნობებთ დღევანდელი პროტესტის შედეგებს: პირველ რიგში, დიდი მადლობა ყველა კურიერს, ვინც საპროტესტო აქციაში მონაწილეობა მიიღო. დღევანდელ აქციაში ქუთაისისა და ბათუმის კურიერებიც შემოგვიერთდნენ. სასიხარულოა, რომ ერთ აზრზე ვართ და ერთმანეთს გვერდში ვუდგავართ. დღევანდელმა ქმედებამ დაგვანახა, რომ რეალურად ბევრნი ვართ და დიდ ძალას წარმოვადგენთ. მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნოთ ეს ერთიანობა. ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და ჩვენი შრომა შესაბამისად დაფასდეს კომპანიის მხრიდან. ჩვენ არ ვაპირებთ შეჩერებას: პროტესტს მიეცემა სისტემატური სახე, სანამ არ იქნება გათვალისწინებული ჩვენი სამართლიანი მოთხოვნები. საპროტესტო აქციაში ყველა კურიერი ჩაერთო თავისი ნებით. მომავალშიც არავის მხრიდან არცერთ კურიერზე არ მოხდება ძალდატანება. რაც შეეხება დღეს განვითარებულ მოვლენებს: აქციის შედეგად ვოლტის წარმომადგენლებმა თავად ისურვეს კურიერებთან შეხვედრა. კურიერთა ჯგუფი გაესაუბრა ვოლტის თბილისის ოფისის წარმომადგენლებს. განხილულ იქნა ბევრი პრობლემური საკითხი (საფორთის დამოკიდებულება კურიერებისადმი, ობიექტის მიერ შეკვეთის დაგვიანებისას კურიერის მხრიდან ამ შეკვეთის ჩახსნის შემთხვევაში ობიექტამდე უკვე გავლილი მანძილის აუნაზღაურებლობა, ცდომილების მქონე შიდა ნავიგაცია, შეკვეთის დაგვიანებისას ადეკვატური ანაზღაურების არქონა, ავტოსტარტის მცირე დრო...) კომპანიის წარმომადგენლები ამჯერადაც გვარწმუნებდნენ, რომ კურიერთა შემოსავალი გაზრდილია და ახალი სისტემით ბევრი კმაყოფილია. ტარიფებთან დაკავშირებით კურიერების მხრიდან წამოყენებულ იქნა შემდეგი მოთხოვნები: მოპედი საბაზისო 3ლ, პიკის საათის დროს 3.5 მანქანა საბაზისო 3.5ლ, პიკის საათის დროს 4, შეკვეთა აითვალოს ობიექტიდან კმ-0,9ლ ნებისმიერ ტრასპორტის შემთხვევაში, ერთერთი ყველაზე დიდი მოთხოვნა არის ის, რომ მანქანიან კურიერებს გაეზარდოთ ტარიფი. კომპანიის წარმომადგენლების თქმით, ზემოთ დაწერილი ყველა პრობლემა განხილვაშია. რაც შეეხება შემოთავაზებულ ტარიფებს - ერთ კვირაში გვეტყვიან მთავარ ოფისთან შეთანხმებულ პასუხს".* **2022 წლის 20 სექტემბრის პოსტი Wolt Partnet Georgia-ში:** *„საღამო მშვიდობის! გაცნობებთ ინფორმაციას დღევანდელი შეხვედრის შესახებ: ჩვენი არცერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ძალაში რჩება ანაზღაურების არსებული სისტემა. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ეს არის ის მაქსიმუმი, რისი გადახდაც კომპანიას ამ ეტაპზე შეუძლია. შემოგვთავაზეს ოქტომბრიდან შემდეგი ცვლილებების ამოქმედება"...* **2022 წლის 26 სექტემბრის პოსტი Wolt Partnet Georgia-ში:** *„ყურადღება, ხვალ 13:00 საათზე ვიკრიბებით მაღლივის ხიდთან. ერთად განვიხილოთ და გადავჭრათ ჩვენი პრობლემები. თითოეული კურიერის მოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია! გთხოვთ, შეძლებისდაგვარად გაავრცელოთ ეს ინფორმაცია კურიერებში".* **2022 წლის 27 სექტემბრის პოსტი Wolt Partnet Georgia-ში:** *„ყურადღება დღევანდელ შეკრებაზე გადაწყდა რომ 3 ოქტომბერს ორშაბათს დღის 12 საათზე ვიკრიბებით ლისზე ბაქსვუდის სკოლის წინ და იქ გადაწყდება როდის რა დაიგეგმება ამასთანავე ჩემი პირადი აზრი მივაწოდე ბიჭებსაც იმასთან დაკავშირებით რომ მივაწვეთ მხოლოდ ერთ რამეს საბაზისო გახდეს 3,50 და ობიექტიდან მომხმარებლამდე თითოეული კილომეტრის ანაზღაურება გახდეს 0.8 თეთრი. ამის შემდეგ ყველა პრობლემა მოგვარდება კურიერებისთვისაც და კომპანიისთვისაც.. და კიდევ მაქსიმალურად ყველას მივაწვდინოთ ხმა 3 ოქტომბრის შეკრებასთან დაკავშირებით. მადლობა ყურადღებისთვის".* **2022 წლის 3 ოქტომბრის პოსტი Wolt Partnet Georgia-ში:** *„პირველ რიგში ყველას სალამი. ასეთი სიტუაციაა დღეს ვინებიც ვიყავით გაჩერებულები საკუთარი ნებასურვილით იმ ადამიანების ფონზე ჩართეს ის ტარიფი მხოლოდ რამდენიმე საათით რასაც ამდენი ხანია ვითხოვთ ახლა ყველას მოგმართავთ თხოვნით იმიტომ რომ ეს ყველაფერი მოხდა ერთეულების დამსახურებით და აქ ძალიან ბევრია ისეთი ვინც ერთი ყურიდან შეუშვა და მეორედან გამოატარა და არ დაგვიდგა გვერდში. გამართლება მოუძებნეს ის რომ ვიღაცას ვალი აქვს ვიღაცას ოჯახი ყავს და ა.შ არავის არაფერს არ უწყვიტავს რამოდენიმე საათით რომ გაჩერდეს და ჩვენს გვერდით დადგნენ თუ ერთობას ვერ დავანახებთ ამ კომპანიას მაშინ ვერაფერს ვერ მივაღწევთ რაცარუნდა გაუპროტესტოთ ან არ წავიღოთ შეკვეთები საწყენია ის რომ ბევრმა არ იცის რას ნიშნავს გვერდში დგომა და შეთანხმებული აზრის გამოხატვა დაფიქრდით ყველა და გაანალიზეთ თუ რა მოყვება თქვენს გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს. მადლობა ყურადღებისთვის".* **2022 წლის 5 ოქტომბრის პოსტი Wolt Partnet Georgia-ში:** *„ამ პოსტით მინდა იმ ნასეტკებს და არასწორებს მივმართო ვისაც ოფისში ინფორმაცია აგაქვთ დააზუსტეთ მაინც და ისე მიაწოდეთ ინფორმაცია თქვენს პატრონებს. თქვენი არასწორი ენის ტლინიკის გამო რამოდენიმე ადამიანი დაზარალდა რომელიც ყველას კეთილდღეობისთვის იბრძოდა რომ ყველას შესაბამისი ანაზღაურება ჰქონოდა და არ ემუშავა კაპიკებზე. მე მაგალითად იმის გამო შემიწყვიტეს კონტრაქტი ჩემი ჯანსაღი აზრი რომ გამოვთქვი და ამაზე მითხრეს რომ ამით კომპანიისთვის ზარალის მიყენება გინდოდაო. ზოგს კი ვითომ ქეშ ბალანსის გამო დაედო ბლოკი არადა როგორცკი ანგარიშს გაუსწორებენ მათაც იგივეს გაუკეთებენ. ამიტომ ენის მიტანით უფრო მეტ სტიმულს აძლევთ იმ ხალხს რომლებიც თავიანთი და ყველას კეთილდღეობისთვის იბრძვიან"*

დ. ს.-მ სახალხო დამცველის აპარატში ასევე წარმოადგინა კომპანიის წარმომადგენლებთან 2022 წლის 4 ოქტომბრის შეხვედრის აუდიოჩანაწერი:

გ. ჯ.: *„დ., შენთან ტელეფონზე მინდოდა .., მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებას ყოველთვის ვამჯობინებთ ესე პირისპირ ვუთხრათ. მოკლედ, გვიწევს შენთან ხელშეკრულების შეწყვეტა, სამწუხაროდ მიზეზი არის ის, რომ ერთ-ერთმა კურიერმა მოგვაწოდა შეტყობინება, სადაც ჩანს შენი მხრიდან რომ პირდაპირ მოუწოდებ ადამიანთა ჯგუფს, არ ვიცი რამდენ ადამიანს, რომ მიზანმიმართულად ექსკლუზიურ პარტნიორებთან დადგნენ და შეკვეთები არ გაიტანონ. ამაზე მე გაგაფრთხილეთ ვინც იყავით, შენც იყავი იმ შეხვედრაზე. თუ მიზანმიმართულად ჩვენი ოპერაციები ჩაიშლებოდა და შეფერხდებოდა ნებისმიერი პირისგან, ასეთ პარტნიორებთან შევწყვეტდით კონტრაქტს..* ***ხომ არ იწერ“***

ს. ხ: შეგიძლია ეგ ისე ზოგადად რომ იცოდე უნდა უთხრა ადამიანს, რომ ***საუბარს იწერ, კანონმდებლობით ეგრე არის. არანაირი პრობლემა არაა“***

დ. ს: *ერთი სიტყვით, მე არავის არ მოვუწოდებდი იმისკენ, რომ ვინმე გაბუნტებულიყო ან რაღაცა, მე ჩემი პირადი აზრი მაქვს, მე რაც არ მომწონს, ჩემს აზრს გამოვხატავ ყოველთვის პირდაპირ. არავის არაფერს არ ვაძალებ და არც არასდროს არაფერი დამიძალებია. ეს არის თავისუფალი ნება, უნდა გააკეთებს, უნდა არ გააკეთებს“*

გ. ჯ: *„ ხო მაგას გეუბნებოდი ანუ შენი ტექსტიდან ეს შეინიშნებოდათქო, ანუ შეიძლება შენთვის ეგრეა, მაგრამ რეალურად სამართლებრივად რომ მივყვეთ ეგრეა“*

დ. ს: *„კიდევ ერთხელ განვმეორდები, რომ მე არ მოვუწოდებდი არავის. მე ჩემ აზრს გამოვხატავდი“*

გ. ჯ.: *„ხო რავიცი“*

დ. ს: *„შეძლებისდაგვარად თუ უნდა იმ ადამიანს გააკეთებს, თუ არ უნდა არ გააკეთებს. მე ქეჩოთი არ დამითრევია ის ადამიანი“*

გ. ჯ: *„მარტო ქეჩოთი დათრევა..“*

დ. ს: *„არც სიტყვიერად დამიძალებია არავისთვის არაფერი. შესაბამისად მე არ ვთვლი, რომ მე ვიღაცას მოვუწოდებდი იმისკენ რომ აი გაჩერდი და „ვოლტი ჩავძიროთ“ და რაღაცა“*

გ. ჯ: ***„ეგ გეწერა, დ.. მე რაც მანახეს ეგ წერია“***

დ. ს: *„პოსტზე ამბობ, რაც დავწერე?“*

გ. ჯ.: *„არ ვიცი პოსტია თუ კომენტარი, მაგრამ ეგ ჩანს, რომ ანუ დავდგეთ ექსკლუზიურ პარტნიორებთან და არ გავიტანოთ მათი შეკვეთები ლანჩზეო“*

დ. ს.: *„ეს ჩემი აზრი იყო. ვისაც მოეწონებოდა“*

ს. ხ.: *„მოუწოდებდი სხვას. პოსტის სახით ხო დაწერე ჯგუფებში?“*

დ. ს: *„მე დავწერე პოსტის სახით“*

ს. ხ: *„და მოუწოდებდი სხვას, აბა რისთვის დაწერე ? მიზანი რა იყო“*

დ. ს: *„მიზანი იყო, რომ ჩემი საღი აზრი მეთქვა და არა ის, რომ ვიღაცისთვის მომეწოდებინა“*

ს. ხ: *„მოწოდება არის, როდესაც“*

დ. ს.: *„მე ჩემი საღი აზრი დავწერე პოსტში. არავის არ მოვუწოდებდი, რომ გინდა თუ არა გაიფიცეთ და ა.შ და შეკვეთები არ გაიტანოთ. ეს არის ჩემი საღი აზრი“*

ს. ხ: *„ეს იყო მოწოდება ჩვენთვის“*

დ. ს: *„მე კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩემი საღი აზრის გამოხატვის უფლება მაქვს“*

გ. ჯ: *„კი, რა თქმა უნდა“*

დ. ს: *„ახლა, ამ შემთხვევაში, რაზეც თქვენ მე დამიბარეთ და მეუბნებით, რომ ხალხს მოუწოდებდითო მე ამას არ ვთვლი“*

დ. ს: *„ამ საკუთარი აზრის გამო თუ მე სამსახური უნდა დავტოვო“*

გ. ჯ: *„სამსახური არ არი, პარტნიორობაა“*

დ. ს: *„სამსახურია ეს ჩემი ძირითადი შემოსავალია“*

გ. ჯ: *„რამდენი ხანია არ შემოსულხარ ხაზზე“*

დ. ს: *„იმიტომ რომ მე ჩემი პრობლემები მაქვს და ვერ შემოვდივარ, ეგ არ არის ის მიზეზი, რომ რახან თავისუფალი გრაფიკი მაქვს, მე როცა არ შემიძლია ვერ შემოვდივარ, როცა შემიძლია შემოვდივარ. ხოდა არ მქონდა ისეთი სიტუაცია, რომ შემოვსულიყავი, ჩემი პრობლემები მაქვს, როგორც დღეს ყველას“*

გ. ჯ: *„შეგიძლია როცა გინდა შემოხვიდე, როცა გინდა არ შემოხვიდე. მე რაც გითხარი სხვაა დ, ამ შენს პოსტში შეინიშნება, ის რომ მოუწოდებ ადამიანებს, მიზანმიმართულად შეფერხდეს ოპერაციები, კომპანიამ ნახოს ფინანსური თუ რეპუტაციული ზიანი, დაზარალდეს კომპანიის მომხმარებელი. ამ პუნქტების გამო გვიწევს შენთან ხელშეკრულების შეწყვეტა“*
ს. ხ: *„არამხოლოდ ამ პოსტში სხვა პოსტშიც“*

1.1.3. გ. მ. და 142 კურიერი

გ. მ.-ს განცხადების თანახმად, „ვოლტი“ თვითნებურად ცვლის ხელშეკრულების არსებით პირობებს და აუარესებს კურიერების ფინანსურ მდგომარეობას. განცხადებას თან ერთვის 142 კურიერის განცხადება, რომლის თანახმადაც, 2023 წლის 5 თებერვალს კურიერთა საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მიღების დროს, „ვოლტისგან“ მიიღეს შეტყობინება, სადაც კომპანია იტყობინებოდა, რომ ნებისმიერ კურიერს შეუწყვეტდნენ ხელშეკრულებას, რომელიც ხელს შეუშლიდა ხაზზე მყოფ კურიერებს სამუშაო საქმიანობის განხორციელებაში. ეს შეტყობინება კურიერებმა აღიქვეს როგორც მუქარა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა.

1.2. მოპასუხე - „ვოლტის“ პოზიცია

მოპასუხის 2023 წლის 14 მარტის პასუხში აღნიშნულია, რომ კურიერებს შეტყობინება გაეგზავნათ 2023 წლის 5 თებერვალს. კომპანიის მითითებით, შეტყობინების გაგზავნა ემსახურებოდა კურიერებს შორის დაპირისპირების პრევენციას.[5] მოპასუხე აღნიშნავს, რომ შეტყობინების გაგზავნის შემდგომ, ხელშეკრულება არც ერთ კურიერთან არ შეწყვეტილა და არც ერთი კურიერის მიმართ არ მიმდინარეობს რაიმე სახის პროცედურა.

კომპანიის განმარტებით, 2022 წლის სექტემბრიდან დაინერგა განვლილი მანძილის დაანგარიშების ახალი სქემა, რომელიც გულისხმობს მანძილის ანაზღაურებას რეალური კილომეტრაჟის მიხედვით, რომელსაც კურიერი გადის შეკვეთის ასაღებად და მისი დატოვებისას. ახალი მოდელი ძველი სქემისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს კურიერის ადგილმდებარეობიდან შეკვეთის აღების მისამართამდე მისვლის მანძილის ანაზღაურებასაც. კერძოდ, კურიერი მანძილის ანაზღაურებას იღებს შეკვეთამდე მისვლაშიც და ასევე მისი მიწოდებისას. გარდა ამისა, 2022 წლის სექტემბრიდან დანერგილი მოდელი გაუმჯობესებულია იმითაც, რომ შორ მანძილზე მისაწოდებელი შეკვეთები უფრო მაღალ ანაზღაურებადია, ვიდრე ისინი საჰაერო მანძილით გაზომვისას იყო. ამასთან, პარტნიორი კურიერების საშუალო საათობრივი გამომუშავება საათში წლიდან წლამდე მზარდია (2020 - 6,61ლ, 2021- 7.49ლ, 2022 - 9.77ლ, 2023 - 11.1ლ). პასუხის თანახმად, ამ ეტაპზე სატარიფო პოლიტიკის გადახედვა არ იგეგმება.

პასუხში აღნიშნულია, რომ განმცხადებლებს ი. კ.სა და დ. ს.-ს ხელშეკრულება შეუწყდათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რასაც არ ჰქონია კავშირი მათ მიერ

[5] **შენიშვნა:** მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ კურიერები შეკვეთის გაუქმებას ითხოვენ, ვინაიდან მათ არ ამუშავებენ და მუშაობისას პრობლემები ექმნებათ

გამოხატულ აზრთან თუ პროტესტთან.

<u>ი. კ.-ს</u> პარტნიორობის ხელშეკრულება შეუწყდა ხელშეკრულების პირობების განმეორებითად დარღვევის გამო.[6] კერძოდ, 2022 წლის 20 მარტს, მომხმარებლისგან შემოვიდა შეტყობინება მისი მხრიდან უხეშობასთან დაკავშირებით. ამის შემდგომ, მას მიეცა უკუკავშირი აღნიშნულ შემთხვევასთან მიმართებით. 2022 წლის 30 სექტემბერს, სხვა მომხმარებლისგან შემოვიდა კიდევ ერთი შეტყობინება, სადაც მომხმარებელი მიუთითებდა კურიერის მხრიდან უხეშობასა და ყვირილზე. აღნიშნულ ფაქტს 2022 წლის 3 ოქტომბერს ასევე დაემატა, მხარდამჭერი გუნდის წევრის მიმართ უხეში დამოკიდებულება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება ი. კ.-სთან ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. გადაწყვეტილების გასაცნობად ეთხოვა ოფისში მისვლა, სადაც 4 ოქტომბერს განემარტა გადაწყვეტილება.

2023 წლის 20 მარტის პასუხში ი. კ. აღნიშნავს,_რომ *20 მარტს* შეკვეთა მიიღო, თუმცა, მომხმარებელს სადარბაზოს ნომერი მითითებული არ ჰქონდა, რაც მას ზუსტი მისამართის იდენტიფიცირების შესაძლებლობას მისცემდა. განმცხადებელი მომხმარებელს შეკვეთის გადასაცემად დაუკავშირდა, რაზეც აგრესიული პასუხი მიიღო, რომ უნდა სცოდნოდა სად მისულიყო. განმცხადებელმა ე.წ. დომოფონზე კოდის აკრეფა სცადა, თუმცა, რადგან თოვდა, ეკრანი სველდებოდა რის გამოც, კარს ვერ აღებდა. აღნიშნულის შემდგომ, განმცხადებელმა მომხმარებელს დაურეკა, სიტუაცია აუხსნა და სახლიდან კარის გაღება ან ჩასვლა სთხოვა, რაზეც მომხმარებელმა უარი განაცხადა. განმცხადებლის თქმით, მომხმარებელმა უთხრა, *როცა ვინმე შევიდოდა ან/და გამოვიდოდა სადარბაზოდან, მაშინ გადაეცა შეკვეთა.* განმცხადებელმა დახმარების ჯგუფის თანამშრომელს მისწერა, შეკვეთა გაეუქმებინა. განმცხადებლის განმარტებით, ნახევარი საათის განმავლობაში თოვლში დასველებული გარეთ იდგა.

30 სექტემბრის შემთხვევასთან დაკავშირებით, რომლის შესახებ განმცხადებლისთვის ცნობილი სახალხო დამცველის აპარატის მიერ მისთვის მიწოდებული წერილიდან გახდა, ი. კ. აღნიშნავს, რომ მომხმარებელი მე-15 სართულზე ცხოვრობდა და ლიფტში შესვლისას მეზობელი დაემგზავრა, რომელმაც აიყვანა. შეკვეთა მომხმარებელს ჩააბარა და ლიფტის კოდის გამოყენებას შეეცადა, თუმცა, ბალანსზე თანხა არ იყო. კურიერი მომხმარებელს დაუკავშირდა და პირველ სართულზე ჩაყვანა სთხოვა, რაზეც მომხმარებელმა უარი განაცხადა. განმცხადებელი ლიფტში 15 წუთი იმყოფებოდა. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია დახმარების ჯგუფს მიაწოდა, რომელმაც მას მადლობა გადაუხადა. რაც შეეხება *3 ოქტომბრის* ინციდენტს, მისი მითითებით, დახმარების ჯგუფის წარმომადგენელთან კომუნიკაციას არ ჰქონდა შეურაცხმყოფელი ხასიათი და ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მისი დასახელება დისკრიმინაციული მოტივის გადაფარვას ემსახურება.

---

[6] **შენიშვნა:** 2022 წლის 20 მარტის შეფასებით, მომხმარებელი უკმაყოფილოა, ვინაიდან კურიერი არ დაელოდა. მომხმარებლის 2022 წლის 30 სექტემბრის უკუკავშირის თანახმად, კი კურიერმა მას უყვირა და უხეშად მიმართა. 2022 წლის 3 ოქტომბრის განმცხადებელსა და მხარდაჭერის თანამშრომელს შორის მიმოწერის თანახმად, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ თანამშრომელი არ არის კომპეტენტური

რაც შეეხება <u>დ. ს.-ს,</u> მოპასუხის განმარტებით, მას ხელშეკრულება შეუწყდა კოლეგა კურიერების მიმართ გამოხატული ზეწოლის გამო. კერძოდ, 2022 წლის 2 ოქტომბერს საპროტესტო აქციის დასრულების შემდგომ სხვა სახით გაგრძელდა ერთ-ერთი საკვები ობიექტის მიმდებარედ. დ. ს. ზეწოლას ახდენდა კურიერებზე და არ აძლევდა მომსახურების შესრულების საშუალებას. ამის თაობაზე „ვოლტს“ შეატყობინა როგორც მომუშავე კურიერებმა, ისე საკვები ობიექტის წარმომადგენლებმა, ასევე აღნიშნული ფაქტი ადგილზე დადასტურდა „ვოლტის“ თანამშრომლების მიერ. იმ დროისათვის საკვებ ობიექტთან, პროტესტს მშვიდობიანი ფორმით გამოხატავდა ათობით სხვა კურიერი, რომელთაგან არცერთს ხელშეკრულება არ შეწყვეტია.

დ. ს. განმარტავს, რომ მოპასუხე ვერ წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ ის კურიერებს არ აძლევდა მუშაობის საშუალებას ან კანონით აკრძალულ ქმედებას ჩადიოდა.

ამასთან, მოპასუხემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა გამომდინარეობდა არა კურიერების მიერ გამოხატული აზრის გამო, არამედ მათ მიერ არაჯეროვანი ქმედებების საფუძველზე. ამასთან, მსგავსი საფუძვლით მომხმარებლებისადმი განმეორებითი უხეში თუ შეურაცმყოფელი ქმედებების, პარტნიორ კურიერებთან კონფლიქტისა თუ „ვოლტის“ თანამშრომლების მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გამო კურიერებთან ხელშეკრულება ადრეც გაწყვეტილა.

წერილის თანახმად, ი. კ.-სა და დ. ს-სთან ხელშეკრულების დადება და აპლიკაციის აღდგენა არ იგეგმება.

მოპასუხის მითითებით, „ვოლტი“ და კურიერები საქმიანობას ახორციელებენ მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე. განსხვავებით სხვა კომპანიებისაგან, „ვოლტის“ პარტნიორებთან ურთიერთობის სპეციფიკა მეტ თავისუფალებას გულისხმობს, რაც გამორიცხავს შრომითი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი სუბორდინაციისა და კონტროლის არსებობას.

განმცხადებლები არ ეთანხმებიან კომპანიის განმარტებას, რომ „ვოლტსა“ და კურიერებს შორის შრომითი ურთიერთობა არ არსებობს. განმცხადებლების მითითებით, კურიერი კომპანიას ექვემდებარება, მის დავალებებს ასრულებს, ქცევის წესებს განსაზღვრავს, კომპანიის ბრენდირებული სამოსი აცვიათ, კომპანია მათ აფასებს და სანქციებს იყენებს.

მოპასუხის 2023 წლის 7 აპრილის დამატებითი პასუხის თანახმად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერები მტკიცებულებად არ უნდა იქნეს მიღებული, რადგან კანონის დარღვევით არის მოპოვებული და „ვოლტის“ თანამშრომელს არ გააჩნდა რაიმე სახის ინფორმაცია საუბრის ჩაწერასთან დაკავშირებით. მოპასუხის აღნიშვნით, ი. კ.-ის მიერ განხორციელებული ფარული აუდიოჩანაწერიდანაც ირკვევა, რომ „ვოლტის“ თანამშრომლებმა მას განუმარტეს ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი და მიუთითეს მხარდამჭერი გუნდის წევრის მიმართ არაპარტნიორულ დამოკიდებულებასა და აღნიშნულ ინციდენტამდე მომხდარ ფაქტებზე. ჩანაწერში ისმის მითითება, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, რაც ასევე მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება.

განმცხადებლის აპელირება, რომ მისთვის მოულოდნელი იყო „ვოლტის“ მიერ წარმოდგენილი ფაქტები, არის სიცრუე, რადგან მას აღნიშნულ საკითხებზე მიეცა უკუკავშირი და იცოდა თითოეული შემთხვევის შესახებ. კომპანიის თანახმად, „ვოლტი“ კურიერების მიმართ არ იყენებს დისციპლინურ სახდელს, კურიერებს, პარტნიორობის ხასიათიდან გამომდინარე, უკუკავშირი ეძლევათ.

რაც შეეხება დ. ს.-ს, კომპანიის განმარტებით, მას ხელშეკრულება შეუწყდა, მის მიერ კურიერების მიმართ განხორციელებული ზეწოლისა და აგრესიის გამო და ამ გადაწყვეტილებას კავშირი არ ჰქონდა მის მიერ გამოხატულ განსხვავებულ აზრთან. როგორც აუდიოჩანაწერში ისმის, „ვოლტის“ თანამშრომლები დ. ს.-ის მიერ განხორციელებულ ზეწოლაზე მიუთითებენ, და არა მის მიერ გამოთქმულ აზრზე.

შრომითი ხელშეკრულების საკითხთან მიმართებით, მოპასუხე განმარტავს, რომ კურიერები არ ექვემდებარებიან „ვოლტს“, ვინაიდან ისინი თავად განსაზღვრავენ აპლიკაციის გამოყენების დროს და აქვთ სრული თავისუფლება მიიღონ/უარი თქვან შეთავაზებული მომსახურების გაწევაზე. ბრენდირებული ტანისამოსი ვოლტის კურიერებისათვის მიწოდებულია უსასყიდლოდ მათი კომფორტისათვის და მათი გამოყენება არ წარმოადგენს კომპანიის მოთხოვნას. რაც შეეხება თერმულ ჩანთას, აღნიშნული აუცილებელია სურსათის უვნებლობისათვის. კომპანია არ ახდენს კურიერების შეფასებას. აპლიკაცია არ შეიცავს რეიტინგის ოფციას. რაც შეეხება მომსახურების პირადად შესრულების ვალდებულებას, აღნიშნული დამახასიათებელია კანონით გათვალისწინებული მომსახურების (ნარდობის) ხელშეკრულებისთვისაც და საჭიროა მომხმარებლების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

<u>რაც შეეხება გ. მ.-სა და თანდართულ 142 კურიერის განცხადებას,</u> მოპასუხის თქმით, შეტყობინების გაგზავნის მიზანს არ წარმოადგენდა კურიერების დაშინება ან აზრის გამოხატვის შეზღუდვა. შეტყობინების მიზანი იყო კურიერებს შორის კონფლიქტის პრევენცია და არც ერთ კურიერს არ შეწყვეტია კონტრაქტი, არ შეჩერებია აპლიკაციასთან წვდომა და მათ მიმართ არ ხორციელდება რაიმე პროცედურა.

2023 წლის 26 აპრილს, გ. მ.-მა სახალხო დამცველის აპარატში დამატებითი განცხადება წარმოადგინა, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2023 წლის 5 თებერვალს, კურიერებმა აქცია გამართეს ღირსეული სამუშაო პირობების მოთხოვნით. კურიერების მოთხოვნა მოიცავდა სატარიფო პოლიტიკის გადახედვას და შრომის ანაზღაურების გაზრდას, რომელიც არ ითვალისწინებდა მათ შრომასთან დაკავშირებულ სირთულეებსა და სიცოცხლისთვის საშიშ პირობებს. პროტესტის ნიშნად კურიერებმა მცირე ხნით აპლიკაცია გათიშეს. პროტესტის კვალდაკვალ კი კურიერებმა „ვოლტისგან“ მუქარის შემცველი შეტყობინება მიიღეს. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ კომპანია პროტესტს საფრთხედ აღიქვამს და მიუთითებს, რომ ასეთი ქმედებები გამოიწვევს ხელშეკრულებების შეწყვეტას.

განცხადების თანახმად, კურიერების მიმართ გაჟღერებული მუქარები წარმოადგენს სამუშაო ადგილზე შევიწროებას, რაც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა. მოცემულ

შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მუქარის შემცველ ერთჯერად აქტს, რომელიც საკმარისად მძიმეა, რათა შევიწროებად დაკვალიფიცირდეს, ვინაიდან მოიცავდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის და კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მუქარას, რამაც კურიერებს მტრული გარემო შეუქმნა.

წერილის თანახმად, შეტყობინების ზეგავლენის სათანადოდ შესაფასებლად, გასათვალისწინებელია მიტანის სერვისის კომპანიებში დამკვიდრებული პრაქტიკა, როდესაც მსგავს შეტყობინებას კურიერების დაბლოკვა მოყვება. შესაბამისად, მას მსუსხავი ეფექტი აქვს კომპანიაში დასაქმებულ ყველა მშრომელზე. განმცხადებლის აღნიშვნით, კურიერებს არ აქვთ კომპანიის თვითნებობისგან დაცვის ეფექტური ბერკეტები, მუქარის შემცველ ამგვარ შეტყობინებას კიდევ უფრო მძიმე ზეგავლენა აქვს იმ კურიერებზე, რადგან ისინი თავს შეიკავებენ პროტესტში შემდგომი მონაწილეობისგან.

ვოლტის 2023 წლის 11 მაისის პასუხში აღნიშნულია, რომ „ვოლტს“ გამოხატვის თავისუფლების გამო არ შეუწყვიტავს კურიერებთან ხელშეკრულება. „ვოლტი“ ასევე არ ეთანხმება გ. მ.-ის პოზიციას, რადგან განმცხადებლისა და მის წერილზე ხელმომწერი პირების მიმართ „ვოლტს“ არ განუხორციელებია რაიმე ქმედება რაც შესაძლოა დისკრიმინაციულ მოპყრობად დაკვალიფიცირდეს.

2023 წლის 24 აპრილს მოპასუხემ სახალხო დამცველის აპარატს დამატებით ვიდეომასალა მოაწოდა, რომელიც ღია პლატფორმებიდან ან „ვოლტის“ ობიექტებზე დამონტაჟებული კამერებიდან არის მოპოვებული და რომელშიც, მოპასუხის მითითებით, საპროტესტო აქციების დროს ჩაგვრის, ძალადობის და შეურაცხყოფის ფაქტებია ასახული. მოპასუხის მითითებით, ასეთი ქმედებები ეწინააღმდეგება „ვოლტის“, საერთაშორისო სტანდარტებს და ღირებულებებს.

2023 წლის 8 მაისს, განმცხადებელმა გ. მ.-მა, სახალხო დამცველის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე ვოლტის მიერ მოწოდებულ ვიდეომასალებთან დაკავშირებით პოზიცია წარმოადგინა, რომლის თანახმად, სამ ვიდეო ჩანაწერში ასახული ადამიანები, მათ შორის, პირი, რომელიც ნატალია ხიზანიშვილს შეურაცხყოფას აყენებს, „ვოლტის“ კურიერები არ არიან.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

ა) არის თუ არა სახეზე შრომითსამართლებრივი ურთიერთობა

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა. განსახილველ *შემთხვევაში, ი. კ.-ს და დ. ს.-ეს დაებლოკათ აპლიკაცია,* შესაბამისად, სახალხო დამცველი შეაფასებს,

მოხდა თუ არა განმცხადებლების შრომის უფლებაში ჩარევა მათ მიერ გამოხატული განსხვავებული შეხედულების გამო.

*სახალხო დამცველი დანარჩენ განმცხადებლებთან მიმართებით აღნიშნავს, რომ **მათ შემთხვევაში შრომის უფლებაში ჩარევას აპლიკაციის დაბლოკვის და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გზით ადგილი არ ჰქონია,** შესაბამისად, აღნიშნული პირების შრომის უფლებაში ჩარევის გარეშე შეუძლებელია მათი შესაძლო დისკრიმინაციის საკითხის განხილვა.*

ამდენად, წინამდებარე გადაწყვეტილებით შეფასდება ი. კ.-ის და დ. ს.-სთვის აპლიკაციის დაბლოკვის საკითხი, თუმცა, კურიერების უფლებრივი მდგომარეობის შეფასების ნაწილში მნიშვნელოვანია ზოგადი კონტექსტის გააზრებაც.

სახალხო დამცველმა, პლატფორმის მეშვეობით მომუშავე პირების საქმეზე შრომით ურთიერთობაში დისკრიმინაცია პირველად „ბოლტის“ (Bolt Food) კურიერების მიმართ დაადგინა, ხოლო მოგვიანებით იგივე სტანდარტები ასახა „გლოვოს“ მიმართ გაცემულ რეკომენდაციაშიც.[7] კურიერებისთვის პლატფორმის კომპანიების მიერ მინიჭებული „პარტნიორის“ სტატუსის მიუხედავად, სახალხო დამცველმა იხელმძღვანელა საერთაშორისო ინსტიტუტებისა და სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ შემუშავებულ უახლეს სტანდარტებზე დაყრდნობით და დაადგინა, რომ პლატფორმის მეშვეობით მომუშავე პირები, კომპანიასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები არიან და, შესაბამისად, მიიჩნია, რომ მათ შრომის კანონმდებლობიდან გამომდინარე, შრომითი გარანტიებით სარგებლობის უფლება აქვთ. სახალხო დამცველის გადაწყვეტილება პრეცედენტულია იმ მხრივაც, რომ დაცვის მნიშვნელოვანი ეროვნული სტანდარტი შექმნა არა მხოლოდ „ბოლტის“ კურიერებისთვის, არამედ, ყველა ე.წ. პლატფორმის მუშაკისთვის.[8] შესაბამისად, სახალხო დამცველი, განსახილველ საქმეში, უფლების განსაზღვრის მის მიერ უკვე დადგენილ სამართლებრივ მსჯელობას და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ განვითარებულ სტანდარტებს ასახავს.

საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) განმარტებით, იმის დასადგენად ურთიერთობა არის თუ არა შრომითსამართლებრივი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს

---

[7] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 14 ივნისის რეკომენდაცია „ბოლტს“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YiNxJ6 ; საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 15 მარტის რეკომენდაცია „გლოვოს“, ხელმისაწვდომია: . https://bit.ly/41n1A1M

[8] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ გვ. 51 www.ombudsman.ge/res/docs/2022022413230220707.pdf

ფაქტებს და არა იმას, თუ როგორ აღიქვამს ამას მხარე ან რას უწოდებს მას. აღნიშნულს სამართლებრივ ენაზე ეწოდება ფაქტების უპირატესობის (primacy of fact) პრინციპი. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე განმსაზღვრელი ფაქტორი, როგორებიცაა სუბორდინაცია, მეორე პირის სასარგებლოდ მუშაობა და განხორციელებულ სამუშაოზე კონტროლი.[9]

2006 წელს ILO-ს შრომის საერთაშორისო კონფერენციის 95-ე სესიაზე მიიღეს N198 რეკომენდაცია შრომითი ურთიერთობის შესახებ.[10] N198 რეკომენდაციის თანახმად, ILO-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და გამოიყენონ ეროვნული პოლიტიკა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს შრომითი ურთიერთობის ფარგლებში სამუშაოს შემსრულებელთა ეფექტიანი დაცვა. ამგვარი ეროვნული პოლიტიკა უნდა შეიცავდეს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც დაინტერესებულ მხარეებს მისცემს მიმართულებას, რომ ეფექტიანად დაადგინონ შრომითი ურთიერთობის არსებობა და დასაქმებულსა და თვითდასაქმებულს შორის განსხვავება. ამ მიზნით, N198 რეკომენდაცია ითვალისწინებს გარკვეულ კრიტერიუმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია, დადგინდეს და დადასტურდეს შრომითი ურთიერთობის არსებობა.[11]

N198 რეკომენდაციის მე-12 მუხლი შრომითი ურთიერთობის არსებობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად აღიარებს სუბორდინაციას. რეკომენდაციის 13(ა) მუხლში შრომითი ურთიერთობის დადგენის კიდევ ერთ-ერთი ინდიკატორია, სამუშაო რამდენად სრულდება მეორე მხარის მითითების შესაბამისად და კონტროლის ქვეშ. დამსაქმებლის მითითების უფლება და სამუშაოს შესრულება დამსაქმებლის კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ წარმოადგენს ქვემდებარეობის პრინციპის გამომხატველ კომპონენტებს.[12] N198 რეკომენდაციის თანახმად, შრომითი ურთიერთობის არსებობის ერთ-ერთი ინდიკატორია სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება. ამასთან, N198 რეკომენდაციის თანახმად, შრომითი ურთიერთობის არსებობის ინდიკატორია სამუშაოს შემსრულებლისათვის ანაზღაურების პერიოდულად გადახდა. ასევე ფაქტი, რომ ამგვარი ანაზღაურება წარმოადგენს სამუშაოს შემსრულებლის შემოსავლის მიღების ერთადერთ ან ძირითად წყაროს.[13]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „ქვემდებარეობის პრინციპი შრომითი ხელშეკრულების ძირითადი მახასიათებელი ნიშანია“[14] და წარმოადგენს მნიშვნელოვან იურიდიულ ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება შრომის ხელშეკრულების გასამიჯნავად ყველა სხვა ისეთი ხელშეკრულებისგან, რომლის

---

[9] International Labour Conference, 95th Session, 2006, Report V(1),The employment relationship, Fifth item on the agenda, International Labour Office Geneva, § 26-27

[10] R198 - Employment Relationship Recommendation, 2006 (No. 198)
https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_INSTRUMENT_ID:312535

[11] საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2017 წელი, გვ.42-43

[12] იქვე, გვ. 44

[13] იქვე, გვ. 45-46

[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე Nას-1129-1156-2011

ფარგლებშიც სამუშაოს შესრულების დაპირება გაცვლილია გარკვეული ანაზღაურების მიღებაში. ხშირ შემთხვევაში, როგორც პრაქტიკულ, ასევე დოქტრინალურ დონეზე იკვეთება დასაქმებულსა და მენარდეს შორის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა. სასამართლოს განმარტებით, „ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის შრომის შედეგი. მენარდე ქონებრივად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია შემკვეთისგან და მას არ ექვემდებარება“[15]. საპირისპიროდ, შრომის სამართალი კი არეგულირებს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობას, რომელიც დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ხორციელდება.[16]

ნარდობისა და შრომითი ხელშეკრულების გამიჯვნის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომ შრომითი ურთიერთობისას გადამწყვეტია სამუშაო პროცესი, რომელიც ორგანიზებულად წარიმართება დამსაქმებლის მიერ დადგენილი წესებითა და პირობებით (შრომითი ხელშეკრულება, შინაგანაწესი, საკანონმდებლო რეგულაცია და სხვა).[17] ხოლო ნარდობის ურთიერთობის ნამდვილობისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ ორმხრივად მავალდებულებელი, სასყიდლიანი ურთიერთობა ხასიათდება კონსენსუალური ბუნებით, ანუ წარმოშობილად ითვლება მხარეთა მიერ ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მომენტიდან და ნარდობის მთელი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებულია მისი სუბიექტების თანასწორობა (დამოუკიდებლობა), რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების მიზნის მიღწევაზე და არ ახასიათებს ორგანიზაციული დაქვემდებარება.[18]

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ მომსახურების ხელშეკრულებისგან შრომითი ხელშეკრულების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი არის სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება დამსაქმებლის დაქვემდებარებაში. ამასთან, დაქვემდებარება გულისხმობს დამსაქმებლის მიერ მითითების უფლებას, სამუშაოს შესრულების ვალდებულებას დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ დროში, დამსაქმებლის მიერ ცალმხრივად სავალდებულო შრომითი პირობების დადგენას, სამუშაოს შინაარსის განსაზღვრას, ასევე, დამსაქმებლის უფლებას ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიოს სამუშაოს შესრულებას.[19]

მნიშვნელოვანია Uber-ის საქმეზე დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღნიშვნაც. 2021 წლის 19 თებერვალს დიდი ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ გამოაქვეყნა პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომლითაც დაადასტურა, რომ Uber-ის მძღოლები მუშაკები არიან და არა დამოუკიდებელი კონტრაქტორები. Uber

---

[15] იქვე

[16] საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2017 წელი, გვ. 33

[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე №ას-934-2018, 2020 წლის 5 ივნისი

[18] ზაქარია შველიძე, შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული), თბილისი 2020

[19] სახალხო დამცველის 2017 წლის 2 ოქტომბრის რეკომენდაცია შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ https://bit.ly/3tZn4B7

ამტკიცებდა, რომ თავად არ უზრუნველყოფდა მგზავრების ტრანსპორტირებას, არამედ მხოლოდ პროგრამულ უზრუნველყოფას ახორციელებენ და მძღოლები დამოუკიდებლად აფორმებენ კონტრაქტს მგზავრებთან. დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა ამ არგუმენტს და დაადგინა, რომ მუშაკის სტატუსის დადგენისას ამოსავალი წერტილი არ უნდა იყოს წერილობითი შეთანხმება და მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს კანონმდებლობის მიზნებზე, რომლებიც დასაქმებულებს იცავენ. სასამართლომ განმარტა, რომ შრომითი ურთიერთობის ნამდვილ სახეს სრულად არ ასახავს წერილობითი ხელშეკრულება, მაშინაც კი, როდესაც მხარეები გაეცნენ და ხელი მოაწერეს მას. შესაბამისად, გასათვალისწინებელია რეალური ვითარება და მხარეების მდგომარეობა.[20]სასამართლომ ასევე დაადასტურა, რომ მძღოლები მუშაობდნენ არა მხოლოდ მგზავრების დანიშნულების ადგილზე მიყვანის დროს, არამედ როდესაც აპლიკაცია ჩართული აქვთ და ელოდებიან მგზავრობის თაობაზე მოთხოვნების მიღებას.[21]

ასევე მნიშვნელოვანია ესპანეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, Glovo-ს დასაქმებული ამტკიცებდა, რომ მართალია, მასთან გაფორმებული იყო მომსახურების ხელშეკრულება (independent contractor), თუმცა, ურთიერთობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ის მიჩნეულ უნდა ყოფილიყო შრომით სამართლებრივად. Glovo მოსარჩელეს შეუწყვიტა ხელშეკრულება, მოსარჩელე კი მიიჩნევდა, რომ მას უფლება ჰქონდა, ესარგებლა ხელშეკრულების შეწყვეტისას არსებული ბენეფიტებით, რომელიც გარანტირებულია ესპანეთის შრომის კანონმდებლობით. ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა რომ კურიერი იმყოფებოდა Glovo კონტროლის ქვეშ და მუშაობდა მის სასარგებლოდ; აღნიშნული დასკვნის გასაკეთებლად სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებები:[22]

- მართალია კურიერებს შეუძლიათ შეკვეთის უარყოფა, თუმცა, ისინი ექვემდებარებიან დაჯარიმებას, თუ უარს განაცხადებენ ხანგრძლივი პერიოდით მუშაობაზე;
- Glovo აკონტროლებს კურიერთა გეოლოკაციას მათი სამუშაოს შეფასების მიზნით;
- ეკონომიკური თვალსაზრისით, Glovo-ს კურიერების აქტივები (მაგ. მოტოციკლი, მობილური) არაარსებითია, Glovo-ს მიერ მიწოდების სერვისის გამოყენებულ აქტივთან (აპლიკაცია) შედარებით;
- Glovo-ს მიერ კურიერებისათვის მიწოდებული დეტალური ინსტრუქციები აღემატება იმას, რასაც დამკვეთი ჩვეულებრივ მოელის მენარდისგან;
- გარემოებები, რომლებიც Glovo-ს კურიერებთან კონტრაქტის გაუქმების უფლებას ანიჭებს, ანალოგიურია ესპანეთის შრომის კანონმდებლობის;
- ძირითადი კომერციული გადაწყვეტილებები (მაგ. მომსახურების საფასური, კურიერებისათვის საფასურის გადახდის წესები და მეთოდები) ექსკლუზიურად დადგენილია Glovo -ს მიერ.

[20] https://www.shoosmiths.co.uk/insights/articles/what-does-the-supreme-court-decision-in-the-uber-case-mean-for-employers
[21] https://www.supremecourt.uk/press-summary/uksc-2019-0029.html
[22] TAKEN FOR A RIDE: LITIGATING THE DIGITAL PLATFORM MODEL, MARCH 2021, გვ. 68

2021 წლის ბოლოს ევროკომისიამ შეიმუშავა ევროდირექტივის პროექტი ციფრული შრომითი პლატფორმის საშუალებით მომუშავე პირების სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად მათი დასაქმების სტატუსის სწორად განსაზღვრის უზრუნველყოფისა და შრომითი პლატფორმის ალგორითმულ მენეჯმენტში გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის გზით[23]. დირექტივა აწესებს მინიმალურ უფლებებს, რომლებიც ვრცელდება ევროკავშირში პლატფორმის საშუალებით მომუშავე ყველა პირზე, რომელსაც აქვს ან რომელსაც ფაქტების შეფასების საფუძველზე შეიძლება ჰქონდეს შრომითი ხელშეკრულება ან შრომითი ურთიერთობა.[24] წარმოდგენილი ევროდირექტივის პროექტის[25] მიხედვით: 1. დასაქმებულის სტატუსისა და შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის სწორად დადგენისთვის ამოსავალი წერტილია ფაქტების უპირატესობის პრინციპი (principle of the primacy of fact), ანუ ფაქტობრივი გარემოებები სამუშაოს რეალურ შესრულებასა და ანაზღაურებაზე და არა ის, თუ როგორ არის ურთიერთობა ხელშეკრულებით განსაზღვრული; 2. შრომითი ურთიერთობის არსებობის სამართლებრივი პრეზუმფცია უნდა არსებობდეს ციფრულ შრომით პლატფორმასა და პლატფორმის საშუალებით სამუშაოს შემსრულებელ პირს შორის თუ ციფრული შრომითი პლატფორმა აკონტროლებს სამუშაოს შესრულების გარკვეულ ელემენტებს.

ევროდირექტივის პროექტის მიხედვით, ნამდვილი თვითდასაქმების (Genuine self-employed) მახასიათებლებია - თავისუფლად აირჩიო სამუშაო საათები ან არყოფნის პერიოდები, უარი თქვა დავალებებზე, გამოიყენო ქვეკონტრაქტორები ან შემცვლელები ან იმუშაო ნებისმიერი მესამე მხარისთვის[26]. აქედან გამომდინარე, ასეთი მოქმედების თავისუფლების *de facto* შეზღუდვა რიგი პირობებით ან სანქციების სისტემის საშუალებით, ასევე, უნდა ჩაითვალოს სამუშაოს შესრულებაზე კონტროლად.[27] სამუშაოს შესრულებაზე ზედამხედველობა ან ამ სამუშაოს შესრულების შედეგების ხარისხის საფუძვლიანი შემოწმება, მათ შორის, ელექტრონული საშუალებებით, რომელიც არ მოიცავს მხოლოდ სერვისის მიმღებთა მიერ მიმოხილვების ან რეიტინგების გამოყენებას, ასევე, უნდა ჩაითვალოს კონტროლის ელემენტად[28]. ამასთან, ღონისძიებები ან წესები, რომლებიც კანონით არის მოთხოვნილი ან რომლებიც აუცილებელია მომსახურების

[23] Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on improving working conditions in platform work, COM (2021) 762 final, Brussels, .2021, 32

[24] Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on improving working conditions in platform work, COM (2021) 762 final, Brussels, 2021, 32

[25] Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on improving working conditions in platform work, COM (2021) 762 final, Brussels, 2021, 15

[26] Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on improving working conditions in platform work, COM (2021) 762 final, Brussels, .2021, 25

[27] Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on improving working conditions in platform work, COM (2021) 762 final, Brussels, 2021, 25

[28] Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on improving working conditions in platform work, COM (2021) 762 final, Brussels, 2021, 25, 26

მიმღებთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად, არ უნდა იქნას გაგებული, როგორც სამუშაოს შესრულების კონტროლი[29].

სამართლებრივი სტანდარტებისა, სხვადასხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის და ასევე მხარეებს შორის არსებული მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობის შედეგად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებლები წარმოადგენენ „ვოლტის" დასაქმებულებს.

კურიერსა და „ვოლტს" შორის სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრის ნორმატიულ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ „ვოლტსა" და კურიერს შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება.[30]

დაქვემდებარებული მდგომარეობის საილუსტრაციოდ მნიშვნელოვანია ხსენებული ხელშეკრულების პირველი პუნქტის 1.1 ქვეპუნქტი, რომლის თანახმად დამკვეთმა, შესაძლოა, შესთავაზოს კურიერს წინასწარ დაჯავშნილი საათები მიწოდების მომსახურებისათვის. როდესაც კურიერი ხელმისაწვდომია მიწოდების მომსახურებისათვის, დამკვეთი ელექტრონულად აცნობებს კურიერს მიწოდების მომსახურების შეკვეთის შესახებ. **ხელმისაწვდომობის პერიოდში, რომელსაც კურიერი აცნობებს დამკვეთს, კურიერი ვალდებულია, მიიღოს და შეასრულოს დამკვეთისგან მიღებული მიწოდების შეკვეთა იმ ვადაში, რომელსაც მიუთითებს დამკვეთი.** დამკვეთი გადაუხდის კურიერს ანაზღაურებას წარმატებით დასრულებული მომსახურებისათვის ანაზღაურების წესის შესაბამისად. **ანაზღაურების წესი, შესაძლოა, ცალმხრივად შეცვალოს დამკვეთმა,** რა შემთხვევაშიც კურიერი დამოუკიდებლად გადაწყვეტს, განაგრძოს თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება. დაქვემდებარების მკაფიო მაგალითია, რომ **დამკვეთს უფლება აქვს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება,** თუ კურიერის მომსახურების ხარისხი დაეცემა, **მომხმარებლის შეფასება ან რეიტინგი ნეგატიური იქნება ან იმ შემთხვევაში თუ კურიერი არ იქნება ხელმისაწვდომი მიწოდების მომსახურებისათვის ორი კვირის განმავლობაში** შეწყვეტის თარიღამდე. სუბორდინაციის მაგალითის წამოადგენს ასევე, დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, კურიერის ვალდებულება, დააბრუნოს ყველა ტიპის აღჭურვილობა ორშაბათიდან კვირის ჩათვლით 10:00-დან 22:00 საათამდე. დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე მეტყველებს ასევე, რომ **კურიერი განახორციელებს დამკვეთისთვის მიწოდების მომსახურებას ნაღდი ანგარიშსწორებით შეკვეთების შემთხვევაშიც.**

პასუხიმგებლობის ნაწილშიც აქცენტი დასმულია მხოლოდ კურიერებზე. კურიერი პასუხისმგებელია, მიწოდების სათანადოდ, ჯეროვნად და კანონმდებლობის დაცვით შესრულებაზე. კურიერი თავადაა პასუხისმგებელი ამ სატრანსპორტო საშუალებებთან

[29] Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on improving working conditions in platform work, COM (2021) 762 final, Brussels, 2021, 26

[30] **შენიშვნა:** ხელშეკრულების ნიმუში წარმოადგინა განმცხადებლებმა

დაკავშირებულ ხარჯებზე (საწვავი, დაზღვევა, ექსპლუატაციის ხარჯები და სხვა). აგრეთვე, კურიერს ეკისრება საქმიანობასთან დაკავშირებით გაღებული ხარჯები. დამკვეთს არ ეკისრება არავითარი ხარჯის (მაგ. გავლილ მანძილზე კომპენსაცია) ან მიწოდების მომსახურებიდან გამომდინარე ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება. კურიერი ვალდებულია, თავად დარეგისტრირდეს ბიზნეს ოპერატორად და პერიოდულად განაახლოს რეგისტრაცია. დამკვეთი არ აგებს პასუხს ნებისმიერი ჯარიმისა ან კურიერის მიერ რეგისტრაციის განუახლებლობისათვის.

შრომითი ურთიერთობის დადგენის კიდევ ერთ-ერთი ინდიკატორია, კონტროლი და ზედამხვედველობა. კურიერს კონფიდენციალურობის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. თუ კურიერი დაავადდება გადამდები დაავადებით (მაგალითად გაციება), კურიერს არ აქვს უფლება, შეასრულოს მიწოდება.

„ვოლტის“ მიერ კურირებისათვის შესასრულებლად სავალდებულო პირობების განსაზღვრის მაგალითებია მომსახურების ხელშეკრულების შემდეგი პუნქტები: კურიერი თავად შეისყიდის სამუშაო აღჭურვილობას, გარდა გამაცხელებელი ჩანთისა, რომელსაც კურიერი მიიღებს დამკვეთისგან. კურიერს უნდა ჰქონდეს საკუთრებაში ან სარგებლობაში მანქანა, სკუტერი ან ველოსიპედი მიწოდების მომსახურებისათვის. კურიერმა უნდა ატაროს დამკვეთის მიერ მიწოდებული მაისური, კეპი ან/და ქურთუკი. კურიერმა, არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა გამოიყენოს ან ისარგებლოს მიწოდების მომსახურებასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციით, მათ შორის, ინფორმაციით შეკვეთის მიმცემ მომხმარებელზე, ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისა. კურიერმა არ უნდა მიაწოდოს მომხმარებელს საკვები, რომელიც გზაში 2 საათზე მეტს დაჰყოფს. კურიერი რესტორანშივე დაუყოვნებლივ მოათავსებს საკვებს მისაწოდებელ ჩანთაში ან გამაგრილებელ კონტეინერში (საკვების ტიპის მიხედვით). საქონელი მომხმარებელს მიეწოდება პირდაპირ ჩანთიდან ან გამაგრილებელი კონტეინერიდან, რათა შენარჩუნდეს საკვების საუკეთესო ხარისხი. საქონელი არ უნდა იქნეს ამოღებული ჩანთიდან მიწოდების განმავლობაში. კურიერმა უნდა უზრუნველყოს ჩანთის სისუფთავე და რეცხვა სულ მცირე ორ კვირაში ერთხელ. კურიერი, ვალდებულია დაიცვას ჰიგიენის ნორმები მიწოდებისას, მათ შორის შემდეგი მოთხოვნები: სუფთა და მოწესრიგებული ჩაცმულობა; პირადი ჰიგიენა; სუფთა და მოწესრიგებული სამუშაო გარემო; ნივთების ზედაპირების სისუფთავე; პროდუქტის სათანადო მოპყრობა; ხელების რეგულარული დაბანა და დეზინფექცია.

განსახილველ საქმეში, მოპასუხე მიუთითებს, რომ კურიერები დასაქმებულნი არ არიან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს მოპასუხის არგუმენტს, რადგან სადავო ურთიერთობა, ზემოთდასახელებული კრიტერიუმებისა და ნიშნების თანახმად, წარმოადგენს შრომითსამართლებრივ

ურთიერთობას. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაშია მითითებული, მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსის შესაფასებლად გადამწყვეტია არა ხელშეკრულების სახელწოდება, არამედ ის დებულებები, რომელთა მიხედვით მხარეთა მიერ გამოვლენილი და შეთანხმებული ნება უნდა შემოწმდეს.[31] შრომითი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი მინიმუმ ერთი ინდიკატორის შემთხვევაშიც კი უნდა მოქმედებდეს სამართლებრივი პრეზუმფცია, შრომითი ურთიერთობის არსებობის სასარგებლოდ.[32] შრომითი ურთიერთობის არსებობაზე მიუთითებს ის გარემოებები, რომ განმცხადებლები მოპასუხის მიერ წინასწარ დადგენილი პირობებით, მისი მითითებისა და ზედამხედველობის ქვეშ ასრულებენ სამუშაოს. ასევე, სამუშაოს შესრულებისთვის, აუცილებელია, პირი დარეგისტრირებული იყოს მოპასუხის პლატფორმაზე. ამასთან, კურიერის ფუნქციების შესრულება მოპასუხის სამეწარმეო საქმიანობისათვის წარმოადგენს ფუნქციურად მნიშვნელოვან მოვალეობას, ვინაიდან მიწოდების გარეშე თავისთავად პლატფორმის არსებობა აზრს მოკლებულია. ელექტრონული პლატფორმის მიზანი მიტანის სერვისის უზრუნველყოფაა, შესაბამისად, პლატფორმის განვითარება რამე განცალკევებულ და, მით უფრო, კომპანიის „ძირითად“ საქმიანობად ვერ მიიჩნევა; მეტიც, ზოგიერთის აზრით, ამგვარი მტკიცება აცდენილია ეკონომიკურ რეალობას და საღ აზრსაც კი.[33]

საგულისხმოა ის გარემოება, რომ მიწოდების სერვისის კომპანიების მიერ კურიერებთან არსებული შრომითი ურთიერთობის არაღიარების პარალელურად (მათ „დამოუკიდებელ კონტრაქტორებად“ განიხილავენ), შრომის ინსპექციამ კურიერები სწორედ დასაქმებულებად მიიჩნია.[34]

დაქვემდებარების, სანქცირების, კონტროლისა და პასუხიმგებლობის დაკისრების პირობებში „ვოლტის“ კურიერების განხილვა თვითდასაქმებულებად მიზანშეუწონელია. ამდენად, ზემოთხსენებული ანალიზისა და „ბოლტისა“ და „გლოვოს“ საქმეებში უკვე დადგენილი პრაქტიკის საფუძველზე სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სახეზე არის შრომითსამართლებრივი ურთიერთობა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლებს ი. კ.-ეს და დ. ს.-ს აპლიკაცია დაუბლოკეს, მათ წაერთვათ შრომის უფლება და, შესაბამისად, სახეზეა შრომის უფლებაში ჩარევა.

2.2. აუდიო ჩანაწერების დასაშვებობა

როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერები მოპოვებულია მონაწილე პირების თანხმობისა და მათი ინფორმირების გარეშე. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე კანონდარღვევით

[31] იხ. სუსგ-ები N ას-738-700-205, 18.12.2015წ; N ას- 871-821-2015, 05.02.2016 წ

[32] არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში გამოწვევები და სარეფორმო ხედვა გვ.92.104

[33] არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში გამოწვევები და სარეფორმო ხედვა გვ.92.104

[34] არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში გამოწვევები და სარეფორმო ხედვა გვ.92.104

მოპოვებული (ფარული აუდიო ჩანაწერი) მტკიცებულების დასაშვებობის საკითხზე. უზენაესი სასამართლოს განმარტებით:

„კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას."[35]

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ *ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია. ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოვებულ" ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, <u>თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია.</u> ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი აწონ-დაწონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდახმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.*[36]

დისკრიმინაციის საქმეები, როგორც წესი, გამოირჩევა ფარულობითა და პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვების სირთულით; მსგავსს შემთხვევებში, ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლისთვის, შესაძლოა, უფლების დაცვის ერთადერთი საშუალება იყოს. სახალხო დამცველი ასევე ყურადღებას ამახვილებს, რომ განმცხადებლებთან მიმართებით, „ვოლტის" წარმომადგენლები წარმოადგენენ ძალაუფლების ბერკეტების მქონე პირებს, შესაბამისად, მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევის მიზნით, სამართლებრივ სიკეთეთა აწონ-დაწონვის გზით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი განმცხადებელთა მიერ მათ მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერები.

---

[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტება გააკეთა სამოქალაქო საქმეში პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე (იხ.№ას-1155-1101-2014)

[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტება გააკეთა სამოქალაქო საქმეში პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე (იხ.№ას-1155-1101-2014)

2.3. კომპარატორი-შესადარებელი სუბიექტი

ა) შრომითი უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (კონსტიტუციის ახალი რედაქციით) წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.[37]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე. ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[38]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონში 2019 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებებით დაკონკრეტდა, რომ <u>თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება შრომით ურთიერთობებზე,</u> *მათ შორის, წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად;* ***<u>დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე.</u>***[39]

---

[37] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II,1.

[38] ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom,* nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, § 60.

[39] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტი

გ) განსხვავებული მოსაზრების გამო შრომითი უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა განსახილველ საქმეში

როგორც უკვე აღინიშნა, განმცხადებლებს აეკრძალათ აპლიკაციაზე წვდომა, რაც შრომით უფლებაში ჩარევას წარმოადგენს. მომდევნო ეტაპზე სახალხო დამცველი შეაფასებს, მოხდა თუ არა განმცხადებლების შრომის უფლებაში ჩარევა მათ მიერ გამოხატული განსხვავებული შეხედულებისა გამო.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.[40] თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას.[41]

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლები იყვნენ „ვოლტის" კურიერები. სახალხო დამცველი გამოიყენებს ჰიპოთეტურ კომპარატორს, რომელიც განისაზღვრება თანაბარი მოპყრობის სტანდარტის საფუძველზე[42] და იმსჯელებს, იმ შემთხვევაში, განმცხადებლებს ან თეორიულად, მათ ადგილას მყოფ სხვა პირს/პირებს, რომ არ გამოეხატათ განსხვავებული მოსაზრებები შეეზღუდებოდათ თუ არა აპლიკაციაზე წვდომა.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლი ჩამოთვლის დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებს, რომელთა შორისაც ვხვდებით *სხვა შეხედულებას,* როგორც დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშანს. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლიც (დისკრიმინაციის აკრძალვა) ექსპლიციტურად გამოყოფს სხვა შეხედულებას და მიიჩნევს დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნად.

განმცხადებლების განსხვავებულ შეხედულებებს ადასტურებს მათი პოსტები, რომლითაც საუბრობდნენ კურიერების პრობლემების შესახებ, გეგმავდნენ შეხვედრებს, კურიერებს აქტიურობისკენ მოუწოდებდნენ და აქციებში მონაწილეობდნენ. ამასთანავე, როგორც წარმოდგენილი აუდიოჩანაწერებითაც იკვეთება, „ვოლტისთვის" მიუღებელია განმცხადებლების პოზიციები და შეხვედრებზე მათ მიერ გამოხატულ პოზიციებზე აპელირებენ.[43]

2.4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

---

[40] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3
[41] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 1
[42] European Network of Legal Experts in the non-discrimination field, European Anti-discrimination Law Review, No. 15- 2012, გვ . 27, ხელმისაწვდომია: https://www.equalitylaw.eu/downloads/2527-law-review- 15
[43] **იხ**. სქოლიო 3 და 1.1.2 ქვეთავი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება გამართლებულად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.[44]

მოპასუხის განმარტებით, ი. კ. და დ. ს. ხელშეკრულება შეუწყდათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, კერძოდ, ი. კ.-ს პარტნიორობის ხელშეკრულება შეუწყდა ხელშეკრულების პირობების განმეორებითად დარღვევის გამო (2022 წლის 20 მარტის შეფასებით, მომხმარებელი უკმაყოფილო იყო, ვინაიდან კურიერი არ დაელოდა. მომხმარებლის 2022 წლის 30 სექტემბრის უკუკავშირის თანახმად, კი კურიერმა მას უყვირა და უხეშად მიმართა. 2022 წლის 3 ოქტომბრის განმცხადებელსა და მხარდაჭერის თანამშრომელს შორის მიმოწერის თანახმად, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ თანამშრომელი არ არის კომპეტენტური).

სახალხო დამცველი 20 მარტის ინციდენტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ განმცხადებელი არ იყო ვალდებული, ცუდი ამინდის პირობებში საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანების სანაცვლოდ მომხმარებლისთვის შეკვეთა გადაეცა, მით უფრო, როდესაც მომხმარებელმა არ უზრუნველყო მისი სადარბაზოში შეშვება. 30 სექტემბრის ინციდენტის დასახელება არარელევანტურია, ვინაიდან, განმცხადებელს მომხმარებელი არ დაეხმარა მე-15 სართულიდან ჩასვლაში, რის გამოც, განმცხადებელს, 15 წუთის განმავლობაში, ლიფტში ყოფნა მოუწია, რის გამოც „ვოლტმა“ მას მადლობა გადაუხადა. გარდა ამისა, სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს მოპასუხის მოსაზრებას, რომ განმცხადებელმა შეურაცხყოფა მიაყენა მხარდაჭერის თანამშრომელს. განმცხადებელს აინტერესებდა დაერიცხებოდა თუ არა თანხა, რაზეც თანამშრომელმა ვერ უპასუხა, რის გამოც განმცხადებელმა მას უთხრა, რომ *არ არის კომპეტენტური,* რაც არა შეურაცხყოფა, არამედ კონკრეტულ შემთხვევაზე საპასუხო რეაქცია/შეფასებაა. რაც შეეხება დ. ს.-ს, მოპასუხე აღნიშნავს, რომ მას აპლიკაცია დაუბლოკეს კურიერებზე ზეწოლის გამო. საგულისხმოა, რომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც აღნიშნულს დაადასტურებდა.

დისკრიმინაციის საქმეებში მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.[45] მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოეშობა

[44] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15

[45] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მეორე პუნქტი

დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას არ ჰქონია ადგილი, გადადის მოპასუხეზე. „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი“ ნიშნავს, რომ განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს **<u>ისეთი ლეგიტიმური მიზანი,</u>** რომელიც წარმოადგენს განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მოპასუხეს სარწმუნო მტკიცებულებებით არ დაუსაბუთებია განმცხადებლებისთვის ხელშეკრულებების შეწყვეტის მართლზომიერება. ამასთან, მოპასუხეს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა განმცხადებლის მიერ უკანონო ქმედებებს, ხოლო მოპასუხის მიერ დასახელებული მიზეზები ვერ გაამართლებს უფლებაში ჩარევის ისეთ ინტენსიურ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა ხელშეკრულების შეწყვეტა/აპლიკაციის დაბლოკვა. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, განმსაზღვრელია, რომ აპლიკაციის დაბლოკვა დროში დაემთხვა განმცხადებლების მიერ განსხვავებული მოსაზრების გამოხატვას *(ი. კ.ის 2022 წლის 17 მარტის პოსტი, 2022 წლის 4 ოქტომბრის პოსტი; დ. ს.-ს 7, 8, 9, 10,16,17, 20, 26, 27, სექტემბრის 3 ოქტომბრის პოსტები).* საქმეში წარმოდგენილი აუდიოჩანაწერებიდან იკვეთება, რომ მოპასუხეები შეხვედრებზე სწორედ განმცხადებელთა მიერ გამოხატულ პოზიციებზე აპელირებენ.[46]

ამდენად, სახალხო დამცველის შეფასებით, მოპასუხის მიერ დასახელებული მიზეზები ვერ გაამართლებს განმცხადებლებისათვის აპლიკაციით სარგებლობის უვადოდ შეზღუდვას, ვინაიდან შრომითი პირობების გაუმჯობესებისთვის აქტიურობა არ შეიძლება წარმოადგენდეს განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელ ლეგიტიმურ მიზანს.

მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობა და დროის პერიოდი სახალხო დამცველს არ აძლევს სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, გარდა იმისა, რომ განმცხადებლებისთვის აპლიკაციის დაბლოკვა მათ მიერ გამოხატულ პროტესტს უკავშირდება. მოპასუხეს ასევე არ წარმოუდგენია იმ ტიპის მტკიცებულებები, რომლებიც სახალხო დამცველს საქმის განსხვავებულად შეფასების საშუალებას მისცემდა.

---

[46] **მაგალითად,** გ. ჯ. ი. კ.-ს: „მაგ ყველაფერს რო თავი გავანებოთ, ასევე შენი პოსტიც ჩამიგდეს (4:38 წმ) რომ იქ რაღაცა სიამაყეზე და რაღაცაზე“; „შენ დამოკიდებულებაზე მაქვს საუბარი. ეს გადაწყვეტილება მივიღეთ იქიდან გამომდინარე, რომ არ გაქვს ჩვენთან პარტნიორული დამოკიდებულება“ გ. ჯ. დ. ს.-ს: „ეგ გეწერა, დ: „მე რაც მანახეს ეგ წერია“ ს. ხ: „მოუწოდებდი სხვას. პოსტის სახით ხო დაწერე ჯგუფებში?“ დ. ს: „მე დავწერე პოსტის სახით“ ს. ხ: „და მოუწოდებდი სხვას, აბა რისთვის დაწერე? მიზანი რა იყო“ დ. ს: „მიზანი იყო, რომ ჩემი საღი აზრი მეთქვა და არა ის, რომ ვიღაცისთვის მომეწოდებინა“

შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ „ვოლტის“ მხრიდან ადგილი ჰქონდა შრომის უფლებაში ჩარევას განსხვავებული მოსაზრებების გამო.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბოლო პერიოდში პლატფორმაზე დასაქმებული პირების გარშემო არსებულ პრობლემურ გარემოზე. საგანგაშოა, რომ პლატფორმაზე დასაქმებული პირები ვერ სარგებლობენ მინიმალური შრომითი გარანტიებით, როგორიცაა შვებულება, ბიულეტინი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება და ა. შ. გარდა ამისა, სამწუხაროდ, დასაქმებულების მიერ შრომითი პირობების გაუმჯობესების მიზნით საპროტესტო აქციებში მონაწილეობა ან/და სამუშაოსთან დაკავშირებული კრიტიკის გამოთქმა დამსაქმებლების მხრიდან მიუღებელ პოზიციად ფასდება და საფუძვლად ედება დამსაქმებლის მიერ განსხვავებული მოსაზრების ან/და პროფკავშირული საქმიანობის გამო მშრომელების შევიწროებას, სამსახურიდან გათავისუფლებას ან შრომითი უფლებების სხვაგვარ დარღვევას.[47] კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ პლატფორმაზე დასაქმებული პირების უსაფრთხოების და შრომის უფლებები იყოს დაცული და დაცლილი ყოველგვარი დისკრიმინაციული მოპყრობისგან. სახალხო დამცველი იზიარებს განმცხადებლების სულისკვეთებას, რომ 2022 წლის 5 ოქტომბერს აქციების გამართვის პარალელურად „ვოლტის“ მხრიდან შეტყობინების გაგზავნა, რომ შეკვეთის დაუდასტურებლობის გამო კურიერებთან ხელშეკრულებები შეწყდებოდა, წარმოადგენს საფრთხეს გამოხატვის თავისუფლების სათანადოდ უზრუნველყოფისთვის და წინააღმდეგობაში მოდის თავად „ვოლტის“ პოზიციასთან, რომ კურიერების გრაფიკი თავისუფალია და მათ სურვილის მიხედვით შეუძლიათ მუშაობა. ამასთანავე, მსგავსი ტიპის გაფრთხილებას, შესაძლოა, მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს სხვა კურიერებისთვის, რომ პროტესტი გამოხატონ და აქციებში მიიღონ მონაწილეობა.

რაც შეეხება, „ვოლტის“ მიერ მოწოდებულ ვიდეო ჩანაწერებს, რომელშიც ჩანს ზემოქმედების და შეურაცხყოფის ფაქტები, სახალხო დამცველი იზიარებს, მოპასუხის პოზიციას, რომ დაუშვებელია როგორც კურიერის, ასევე „ვოლტის“ ნებისმიერი თანამშრომლის მიმართ ძალადობის ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის ნებისმიერი გამოვლინება. თუმცა, საქმეში არსებული ვიდეო ჩანაწერებიდან მსგავს ინციდენტებში უშუალოდ დ. ს.-ს და ი. კ.-ს მონაწილეობა არ იკვეთება.

3. დასკვნა

საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ განმცხადებლების უფლებაში ჩარევის საფუძველს რეალურად წარმოადგენდა მათი აქტიურობა და განსხვავებული მოსაზრებები, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა დამსაქმებლისთვის. მოპასუხემ კი ვერ წარმოადგინა სათანადო და

[47] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 14 ივნისის რეკომენდაცია „ბოლტს“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YiNxJ6 ; საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 15 მარტის რეკომენდაცია „გლოვოს“, ხელმისაწვდომია: . https://bit.ly/41n1A1M

დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომელიც დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს გაუქარწყლებდა.

შესაბამისად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი მიმართავს შპს „ვოლტ ჯორჯიას“:

- დაუყოვნებლივ აღუდგეთ ი. კ.-ს და დ. ს-ს „ვოლტის“ აპლიკაციაზე წვდომა;
- მომავალში არ დაუშვას შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და უზრუნველყოს თანასწორობის პოლიტიკის გატარება კომპანიაში.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,